# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 22 მარტი 2008 №064 (3288) ფასი 50 თეთრი

## ნახლდენილი პენალტების ტური
# ბურთი ოთხჯერ ბადეშია.
# ვიტ ჯორჯია სათავეშია
## დღეს პასუხი დინამოზეა


ვიტ ჯორჯია 4:0 სიონი
მეორე გოლი ბოლნისელთა კარში

# ასიანია!
## შვილი მამის კვალზე

გიორგი მეგრელაძე მე-15 ფეხბურთელია საქართველოს ჩემპიონატში, 100 გოლი რომ აქვს გატანილი. წინა 14-ში ერთი კი გიორგის მამა მერაბ მეგრელაძეა





**გიორგი მეგრელაძის ასეული**

| | | |
|---|---|---|
| სამგურალი | 12 | 5 |
| ტორპედო | 158 | 77 |
| დინამო | 22 | 14 |
| ბორჯომი | 4 | 4 |

სულ: 196 მატჩი, 100 გოლი

# გაიკეთეთ სათვალე!
## ვის და რას აკვირდება მსაჯთა დამკვირვებელი: არ ვაღიაროთ შეცდომა?

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — II წრე. 18 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქილვან ვიეირამ (მარჯვნივ) გაილაღა

## იმერული კარნავალი

### ვიეირას კვასხვაძე გაეკიდა

ნუკრი ლოლაძე ზესტაფონიდან

**პირველი** სახიფათო მომენტი სტუმრებმა შექმნეს — მე-5 წუთზე საბა სულთანიშვილმა საჯარიმოში ჩააწოდა, მცველებმა უხეიროდ გამოიტანეს ბურთი, გიორგი ვარდოსანიძემაც კარში დაარტყა, თუმცა მიზანმა უმტყუნა. ამის შემდეგ კი ზესტაფონელები სრულ უპირატესობას დაეუფლნენ. მე-10 წუთზე ბექა გოცირიძე ქართლელთა მეკარემ ავთანდილ ცერცვაძემ საჯარიმოში წააქცია, მსაჯმა პენალტი დანიშნა და ცერცვაძეს ყვითელი ბარათი უჩვენა. გოცირიძემ პენალტი ზუსტად დაარტყა, თუმცა არბიტრმა წესების დარღვევის გამო გოლი გააუქმა — ფეხბურთელები ადრე შევიდნენ საჯარიმოში. ბექას ხელახლა მოუწია პენალტის დარტყმა, მაგრამ ამჯერად ცერცვაძემ ბურთი კუთხურზე მოიგერია.

22-ე წუთზე გოცირიძე კიდევ ერთხელ გავიდა მეკარესთან პირისპირ და ცერცვაძემ ისევ დაარღვია წესი — მეორე ყვითელი, ცერცვაძემ მოედანი დატოვა და პენალტი ერთხელაც დაინიშნა. ზურაბ ხორგუაშვილმა მოედნიდან სულთანიშვილი გაიყვანა და კარში ბესიკ კეჩხუაშვილი ჩადგა. პენალტის დარტყმა ამჯერად ედიკ საჯაიამ ითავა, თუმც ვერც მან იხეირა — კეჩხუაშვილი მისწვდა ბურთს, რომელიც ჯერ ძელს, შემდეგ ხარიხას მოხვდა ბურთი და გორელები კიდევ ერთხელ გადარჩნენ.

35-ე წუთზე იმერლებმა საწადელს მიაღწიეს — კვასხვაძემ საჯარიმოში ჩააწოდა, ვიეირას ხელი ვერავინ შეუშალა და ცაცია ბრაზილიელმა მარჯვენათი გაიტანა. მალევე ვიეირამ ხარიხა შეაზანზარა, წამებში კი დუბლიც გაიფორმა.

მეორე ნახევარი ახალი განახლებული იყო, როცა გოცირიძემ კვასხვაძეს ზედიზედ ორჯერ გაატანინა.

67-ე წუთზე ეტიენ ბიტოოს გადაცემით ვიეირამ ჰეთ თრიქი შეასრულა — საჯარიმოში შესულმა ადვილად მოატყუა მეკარე და ცარიელ კარში გაიტანა — 5:0.

შატაკიშვილს და ბალიაშვილს გატანა შეეძლოთ, თუმც მათ დარტყმებს ხარიხა გადაელობა.

ცნობისთვის: „დილამ" ეროვნულ ჩემპიონატში უკვე ცხრა მატჩია, გოლის გემო არ იცის. იმერულ გუნდში კი დებიუტი ჰქონდა გაბონელ ერნესტ აკუასაგას, ვინც რუსთავის „ოლიმპიდან" ინათხოვრეს.

და ერთიც: ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქართულ ფეხბურთში დაბრუნდა ვეტერანი ფეხბურთელი თამაზ კოსტავა — იგი ამ მატჩის დირექტორი იყო.

ზესტაფონი. 21 მარტი. 15 საათი. ცენტრალური. 2 500 მაყურებელი

**ზესტაფონი 5:0 დილა**

1:0, 2:0 ვიეირა (35, 37), 3:0, 4:0 ნ. კვასხვაძე (47, 49) 5:0 ვიეირა (67)

*გოცირიძემ ვერ გაიტანა პენალტი (10, მეკარე); საჯაიამ ვერ გაიტანა პენალტი (22, მეკარე)*

| | |
|---|---|
| **ზესტაფონი:** რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, უ. ლობჟანიძე, საჯაია, აკუასაგა, რ. ონიანი (გელაჭეიშვილი 75), გ. ხიდეშელი, დაუშვილი, ნ. კვასხვაძე, ვიეირა (საცერაძე 68), ბ. გოცირიძე (ბიტოო 60) *სათადარიგონი:* გ. ჭანტურია, სურმავა, გორგიაშვილი, დ. ჯანელიძე **მწვრთნელი:** თემურ მახარაძე | **დილა:** ცერცვაძე, ი. გვეტაძე, ზ. ლაცაბიძე, ბერიანიძე, ბალიაშვილი, სადალაშვილი (ლომიძე 46), შატაკიშვილი, ნ. ნოზაძე, სულთანიშვილი (კეჩხუაშვილი 24), გ. ვარდოსანიძე, ლ. რეხვიაშვილი (იჩქითი 56) *სათადარიგონი:* გაგნიძე, რატიანი, საყვარელიძე, გ. მიქაძე **მწვრთნელი:** ზურაბ ხორგუაშვილი |

**გაფრთხილება:** ცერცვაძე (10, 22)

**გაფრთხილება:** ცერცვაძე (22)

**მსაჯები:** ა. ნონიკაშვილი, ი. მაჩიტაძე, ზ. მენთეშაშვილი, გ. დოგრაშვილი

**დამკვირვებელი:** ა. შალამბერიძე; **დირექტორი:** თ. კოსტავა

## იონანიძე კუნთმა არ გაწირა

**ზურაბ იონანიძის** ტრავმა არცთუ საშიში გამოდგა. „ზესტაფონის" 36 წლის მეგოლემ თბილისის „ლოკომოტივთან" კუნთი დაიზიანა და ეჭვობდნენ, რომ კურნალობა კარგა ხანს გასტანდა.

თუმცა ექიმებმა „იონას" სურათი გადაუღეს და აღმოჩნდა, რომ კუნთი გაწყვეტილი არ არის. ამის მიუხედავად, იონანიძე, სულ ცოტა, ორი კვირა ვერ გავა მინდორზე.

ნუკრი ლოლაძე

## ბათუმის შანსი ზღვამ წაიღო

ბათუმი. 21 მარტი. 15 საათი. ადელი. 200 მაყურებელი

**ბათუმი 0:2 მერანი**

0:1 შენგელია (71პ), 0:2 კველიშვილი (90)

| | |
|---|---|
| **ბათუმი:** სტურუა, კუნჭულია, მახარაძე, თედორაძე, მაკარიანი (კაკალაძე 63), ოქრუაშვილი (ზ. ქუთათელაძე 58), ბაბუნაშვილი, გ. თურმანიძე, ქებაძე, გ. ნოდ. ჭელიძე გ. ჩხეტიანი (თოთლაძე 69) *სათადარიგონი:* გალოგრე, ფარტენაძე, ცანავა, ბეჟანიძე **მწვრთნელი:** ავთანდილ კუნჭულია | **მერანი:** თევდორაძე, ლოლაძე, თავბერიძე, ჯანგიძე, სარალიძე, ბაკურიძე (ფირანიშვილი 85), ფურთუხია (ქემაშვილი 63), ბესარაშვილი, კობერიძე, ი. დეისაძე (კველიშვილი 65), ი. შენგელია *სათადარიგონი:* დგებუაძე, კ. დეისაძე, კაკულია **მწვრთნელი:** დავით ეჯიბიშვილი |

**გაფრთხილება:** ფურთუხია (52), ლოლაძე (58), თევდორაძე (81), თედორაძე (90)

**განძევება:** სტურუა (69)

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია, დ. სანოძე, დ. კვეტენაძე, ჯ. ბუიშვილი

გიორგი მურვანიძე ბათუმიდან

**ბათუმელები** გაძლიერებული შემადგენლობით გავიდნენ მოედანზე, თუმცა მერანელები ბათუმელთა ახალ ფორვარდ გიორგი ნოდარის ძე ჭელიძეს გაქანების საშუალებას არ აძლევდნენ, ვერც გაგა ჩხეტიანმა ივარგა და შეტევებიც აღარ გამოსდიოდათ მასპინძლებს.

პირველი სახიფათო მომენტი ბათუმელებმა შექმნეს. გიორგი თურმანიძემ კუთხური ჩააწოდა, იქ კი ყველაზე მაღლა ზვიად ქუთათელაძე ახტა და თავით ძლიერად დაარტყა — რევაზ თევდორაძემ ბურთი მოიგერია.

პირველი ტაიმის მეორე და ბოლო სახიფათო შეტევა კი სტუმრებმა განახორციელეს — ჯარიმა გაათამაშეს და საჯარიმოში თემურ ფურთუხიამ თავით ზვიად სტურუას დაურტყა, მაგრამ მეკარემ ბურთის მოგერიება შეძლო.

მეორე ტაიმი ბათუმელთა უპირატესობით დაიწყო. მიხეილ კაკალაძე მეკარესთან პირისპირ დარჩა, ყველას გოლი ეგონა, თუმცა კაკალაძემ რატომღაც არ დაარტყა და ჭელიძეს დაუტოვა ბურთი, ბათუმელთა ახლაწვეულმა კი გოლის გატანა ველარ შეძლო.

მეორე ტაიმი უხეშობით გამოირჩეოდა. მერანელები სამჯერ ყვითელი ბარათით დასაჩუქრდნენ, ბათუმელთა მეკარე კი 69-ე წუთზე ლევან კვარაცხელიამ მოედნიდან გააძევა. სტურუასთან პირისპირ დარჩენილი მერანელი მეკარემ წესების დარღვევით გააჩერა.

71-ე წუთზე კი ლაშა ქებაძემ საკუთარ საჯარიმოში მიხეილ ბესარაშვილი წააქცია და მსაჯმაც თერთმეტმეტრიანი დანიშნა. ირაკლი შენგელიამ შეცვლაზე შესულ სეხნია თოთლაძეს მარცხენა კუთხეში დაურტყა და 0:1.

ბათუმელები მთელი ძალებით შეტევაში გადავიდნენ.

„მერანის" საჯარიმოსთან ჯარიმა დაინიშნა — თურმანიძემ კარში დაარტყა და ცოცხალ კედელში მდგომ ილია ქემაშვილს ხელზე მოხვდა ბურთი, ბათუმელები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ მსაჯმა ეს ეპიზოდი წესების დარღვევად არ მიიჩნია და თამაში გააგრძელა.

შეტევაში გართულ ბათუმელებს ბოლო წამებზე მეტოქე გაეპარათ და მეორე გოლითაც დაისაჯნენ — შენგელია საკუთარი ნახევრიდან დაიძრა, საჯარიმოს მიუახლოვდა და კველიშვილი მოძებნა. თოთლაძესთან პირისპირ დარჩენილმა მერანელმა შანსი გამოიყენა და თავის გუნდს უმნიშვნელოვანესი სამი ქულა დაუბევა.

## კილასონიამ ოლიმპი დატოვა



**ვარლამ კილასონია** რუსთავის „ოლიმპიდან" წავიდა. მთავარ მწვრთნელ ანატოლი პისკოვეცის გადადგომის შემდეგ გუნდი ხვიჩა ქასრაშვილს ჩააბარეს, კილასონიას მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ დარჩენა კი საეჭვო გახდა და საბოლოოდ, მხარეები ერთმანეთს დაშორდნენ.

ვინ იმუშავებს ხვიჩა ქასრაშვილის თანაშემწედ, ეს ჯერჯერობით უცნობია.

ნუკრი ლოლაძე

### ინგლისი

ჩემპიონატი. XL ტური

ჩარლტონი 1:1 ვესტ ბრომვიჩი

I ლიგა. XXXIX ტური

საუთენდი 1:1 სუონსი

იოვილი 2:1 დონკასტერი

ნორთჰემპტონი 1:2 ნოტინგემი

II ლიგა. XXXIX ტური

დონსი 1:1 პიტერბრო

სტოკპორტი 2:0 მაკლსფილდი

კონფერენსლიგა XXXIX ტური

ფორესტ გრინი 2:1 უოქინგი

სალისბერი 3:3 ჰისტონი

სტივენეიჯი 3:1 ებსფლიტი

### ავსტრია

I დივიზიონი. XXII ტური

შვადორფი 4:1 ლუშტენაუ

გრატკორნი 1:2 კერნტენი

ლეობენი 1:1 კაპფენბერგი

შვანენშტადტი 4:1 პარნდორფი

ბად აუზეე 2:2 აუსტრია (მ)

### იტალია

სერია B. XXXII ტური

აველინო 1:1 მოდენა

ბოლონია 2:1 ფროზინონე

ჩეზენა 1:1 ასკოლი

კიევო 1:0 პიაჩენცა

ლეჩე 2:0 რიმინი

მანტოვა 0:1 ალბინოლეფე

მესინა 1:2 ბარი

პიზა 0:0 გროსეტო

სპეცია 1:1 ვიჩენცა

ტრევიზო 1:1 რავენა

ტრიესტინა 1:0 ბრეშა

### უკრაინა

ვიშა ლიგა XXII ტური

მეტალისტი 2:4 არსენალი

### ამხანაგური მატჩები

ბაჰრეინი 1:0 ირანი

ქუვეითი 0:0 ერაყი

### ბელგია

იუპილერლიგა XXVII ტური

გენკი 3:1 მუსკრონი

II კლასი. XXIX ტური

ოსტენდე 0:1 კორტრაიკი

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXX ტური

ვიტესი 3:3 ბრედა

II დივიზიონი. XXXIV ტური

კამბური 0:2 დენ ბოსხი

დენ ჰააგი 2:1 ჰაარლემი

ალმერე 3:1 ეინდჰოვენი

ვოლენდამი 3:0 ოსი

ზვოლე 1:0 ტელსტარი

ჰელმონდი 3:3 ვალვაიკი

მაასტრიხტი 5:1 ემენი

როზენდალი 1:2 დორდრეხტი

ვეენდამი 3:1 სიტარდი

### თურქეთი

სუპერლიგა. XXVII ტური

ფენერბაჰჩე 3:0 კაშიმპასა

### ირლანდია

პრემიერლიგა III ტური

კორკი 1:1 დერი

დროჰედა 3:0 კობ რამბლერსი

სენტ პატრიკსი 1:0 გალვეი

ფინ ჰარპსი 1:0 დუბლინი

შემროკი 2:0 ბრეი

სლიგო 1:2 ბოჰემიანსი

### საფრანგეთი

II დივიზიონი XXIX ტური

ბასტია 0:1 გენგამი

ბრესტი 4:2 ნიორი

შატორუ 1:0 მონპელიე

კლერმონი 2:0 აიაჩო

გენიონი 1:1 გრენობლი

ლიბურნი 2:0 ტრუა

რეიმსი 0:1 ანჟერი

ნანტი 2:1 დიჟონი

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 18 ტური

# მეგრელაძე 100-ანია!
## თასამდელი სამეზღობლო



ბესიკ ჩიმაკაძის საგოლე თავური

თბილისი. 21 მარტი. 15 საათი. ამერი. 600 მაყურებელი

### ამერი 3:2 ბორჯომი

1:0 გოცირიძე (11), 1:1 ჩირიკაშვილი (23), 2:1 ქარქუზაშვილი (ნნს.კ.), 2:2 მეგრელაძე (82), 3:2 ჩიმაკაძე (90)

*დეკანოსიძემ ვერ გაიტანა პენალტი (31, მეკარე)*

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, ელბაქიძე, დავითნიძე, ჩიკვილაძე, კაკაშვილი, მემარნიშვილი (დ. მჭედლიშვილი 84), დობროვოლსკი, შალამბერიძე (ა. ალავიძე 61), დეკანოსიძე, რ. გოცირიძე, დავითაშვილი (ჩიმაკაძე 73)
*სათადარიგონი:* ქვაჩახია; მესხი, სილაგავა, ხუციძე
**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**ბორჯომი:** გრიშიკაშვილი, ვ. ბოლქვაძე (კობიძე 59), კაკუბავა, ქარქუზაშვილი, ბუგავა, ქავთარაძე, ჯიუსი (თედიაშვილი 46), ჩირიკაშვილი, ფეიქრიშვილი, კირთაძე, მეგრელაძე (ნასყიდაშვილი 90)
*სათადარიგონი:* სეფიაშვილი; დევიძე, მიგინეიშვილი
**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**გაფრთხილება:** კაკაშვილი (6), დობროვოლსკი (14), კაკუბავა (31, 39), მეგრელაძე (85), მჭედლიშვილი (89)

**გაძევება:** კაკუბავა (39)

**მსაჯები:** დ. ხარიტონაშვილი, ზ. ფიფია, ზ. ბერულავა, მ. ურუშაძე

**კობა ინასარიძე**

**გუშინდელ** მეტოქეებს ამ სეზონში ერთმანეთში კიდევ ორი მატჩი აქვთ სათამაშო — წილისყრამ ისინი საქართველოს თასის ნახევარფინალში დააპირისპირა და ვიდრე 9 აპრილსა და 7 მაისს გაარკვევენ ურთიერთობას, გლდანში, ასე ვთქვათ, მოთელვა გაიარეს. ჩემპიონატში წლეულს არც „ამერს" გაუმართლია და არც „ბორჯომს", ცხრილის ზედა ნაწილში მეზობლად მოკალათებულან და საამსეზონო ტიტულისთვის მხოლოდ თასზე თუ იბრძოლებენ...

„ამერი" და „ბორჯომი" ერთმანეთისთვის რომ უხერხული მეტოქეები არიან, ადრეც გვითქვამს და ეს ამბები ფაქტებით დამოწმებულა — სამჯერ „ბორჯომს" უმარჯვია, ოთხჯერ კი „ამერს". ჰოდა, აი, გუშინ იყვნენ პირველად ქულების გაყოფასთან ახლოს, მაგრამ „ყვითლების" 19 წლის ფორვარდმა ბესიკ ჩიმაკაძემ საქმე აქამდე არ მიიყვანა — ძირითადი დროის წამატებულ მე-2 წუთზე თავურით გაიტანა და „ბორჯომს" შინ წასაღებად გამზადებული ქულა იქვე დაატოვებინა...

საინტერესო, ორივე გუნდისთვის ძალიან სანერვიულო და, შეიძლება ითქვას, დრამატული მატჩი გამოვიდა. მასპინძლებმა ანგარიშის გახსნამდე, ხელმეორედ დაწინაურებამდე და შემდეგაც უამრავი საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ სტუმართა მეკარე სოსო გრიშიკაშვილს კარი თითქოს მოჯადოებული ჰქონდა, ის რამდენჯერმე წარმოუდგენელი სირთულის დარტყმულს გაუმკლავდა. რამდენჯერმეც „ამერის" ფეხბურთელებმა მიზანს ვერ მოარტყეს და საბოლოოდ, მხოლოდ ორ გოლს გამორჩნენ, ერთხელაც კი ბურთი საკუთარ კარში გივი ქარქუზაშვილმა ჩაჭრა. „ამერმა" ვერ გაიტანა პენალტიც — გიორგი დეკანოსიძის დარტყმული იმავ გრიშიკაშვილმა მოიგერია.

„ბორჯომმა" სათამაშო დროის ნახევარზე მეტი კაცნაკლულმა ჩაატარა... მოკლედ, იყო საშინელი უიღბლობა, მაგარი ბრძოლა, ერთმანეთზე ლამაზი გოლები და ის ბოლო წუთიც, როცა ჩიმაკაძემ გამარჯვებისა დაარტყა.

სულიკო დავითაშვილს, კობა შალამბერიძეს, რევაზ გოცირიძეს, დეკანოსიძესა და ლამის „ამერის" ყველა ფეხბურთელს შეეძლო გატანა, მაგრამ რაც გამოუვიდათ, ანგარიშიდან ჩანს.

„ყვითლები" გოცირიძემ მალევე დააწინაურა — კუთხურიდან შალამბერიძის ჩაწოდებულ ბურთს მან თავი წინა ძელთან შეაგება და მოხდენილი დარტყმით შორეულ კუთხეში ჩასვა. „ბორჯომმა" მალევე გაათანაბრა, მასპინძლებმა ბურთი საჯარიმოდან კარგად ვერ მოიგერიეს და ამით ირაკლი ჩირიკაშვილმა ისარგებლა — შემტევს ვერავინ დაუფარა და მანაც ლადო ნადირაშვილს აუღებლად დაურტყა.

მოგვიანებით გოცირიძე კაკუბავამ საჯარიმოში წააქცია და ყვითელიც დაიმსახურა. დეკანოსიძის პენალტი გრიშიკაშვილმა კი მოიგერია, მაგრამ იმ „ყვითელმა" საამერო საქმე მოგვიანებითაც გააკეთა — იმავ კაკუბავამ შურდულივით გაქანებული ბურთიანი შალამბერიძე მოცელა და დავით ხარიტონაშვილს კიდევ ერთი ყვითელი ბარათი დასტყუა — „ბორჯომი" ათი ფეხბურთელით დარჩა.

ტაიმის დამთავრებამდე მოედანზე ბევრი არაფერი შეცვლილა. შესვენებაზე კი ვლადიმერ ხაჩიძემ ნახევარმცველი დონალ ჯიუსი ცენტრალური მცველით შეცვალა, სტუმრებს სხვა რა გზა ჰქონდათ, ანგარიში უნდა შეენარჩუნებინათ და საკუთარ კართან მძლავრი ბარიერებიც აღმართეს. მიუხედავად ამისა, „ამერს" გრიშიკაშვილთან მიახლოება და მომენტის მომენტზე შექმნა არ უჭირდა. სხვა საქმეა, რომ გოლი არ ჩანდა, თუმცა მალე ესეც ვნახეთ — ფლანგიდან დავითაშვილმა დაბალზე ძლიერად ჩააწოდა, ქარქუზაშვილმა კი ბურთის მოგერიება სცადა, აეჭრა და „ბორჯომს" ვეღარც მეკარემ უშველა.

„ამერმა" საქმე, ეტყობა, მოთავებულად ჩათვალა და თამაშის დამთავრებამდე 15-20 წუთით ადრე ისე აღარ უტევდა, როგორც იქამდე, თბილისელები ბურთს აგორებდნენ, მეტოქის შეცდომაზე გამოჭერას და თავიანთი ნახევრიდან გამოტყუებას ელოდნენ. პირიქით კი მოხდა, „ბორჯომმა" მასპინძლები იქით გამოიჭირა და გიორგი მეგრელაძემ ულამაზესი გოლიც გაიტანა. გოლი გოლად, რომელიც გიორგიმ საკმაოდ მახვილი კუთხიდან შორეულ ცხრიანში უძლიერესი დარტყმით შეაგდო და, ეს მისთვის საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გატანილი მე-100 გოლი გამოდგა, რაც უთუოდ მისალოცი ამბავია. საიუბილეო გოლიც ასეთი უნდა!

„ამერმა" კი ბოლო ძალებით შეუტია, მოედანზე მყოფი ყველა ფეხბურთელი მეკარე ნადირაშვილის გარდა, „ბორჯომის" ნახევარზე გადასახლდა და კიდევ რამდენიმე უშედეგო ცდის შემდეგ „ყვითლებმა" მაინც გაიხარეს — არჩილ ალავიძის ჩაწოდებულს შორეულ ძელთან ჩიმაკაძე ელოდა, ჰაერში აიწვართა და უნაკლო თავურით „ამერს" სამი ქულა მოუტანა.

ეს გუშინდელი ამბებია, გაგრძელება კი სათასო მატჩებისას იქნება...

მცხეთა. 21 მარტი. 15 საათი. არმაზი. 250 მაყურებელი

### ვიტ ჯორჯია 4:0 სიონი

1:0 კლიმიაშვილი (47), 2:0, 3:0 სახოკია (53, 73), 4:0 მელქაძე (90)

**ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ყველაშვილი, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი (კვალინიძე 87), კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, სახოკია (ლიპარტია 74), ლუჭაშვილი (ბერიაშვილი 63)
*სათადარიგონი:* მიქაბერიძე; ინჯგია, ადამაძე, კაიშაური
**მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე

**სიონი:** ბობლიაშვილი, ქურასბედიანი, კობაური, ფრიდოლინი, გ. ოქროპირიძე, სანიკიძე, შავგულიძე (ზ. ჭელიძე 54), ბ. ნოზაძე (ზ. ავალიანი 53), გ. ჯელიძე (ლ. ვაშაკიძე 67), შ. ჯიქია, ჩასემი
*სათადარიგონი:* გ. იაშვილი; კეტაშვილი, კვიტაიშვილი
**მწვრთნელი:** გიორგი ყიფშიძე

**გაფრთხილება:** ნოზაძე (13), ყველაშვილი (33), სანიკიძე (62), ავალიანი (90)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი, ზ. ხუციშვილი, დ. კურტანიძე, თ. გვანცელაძე

**დამკვირვებელი:** ე. სილაგავა; **დირექტორი:** პ. ბურჯალიანი

# ხლაფორთი და ვერაფერი
## ვიტ ჯორჯიამ ზესტაფონი მოხსნა

**მიხეილ ჟორჟოლიანი მცხეთიდან**

**„ვიტ ჯორჯიამ"** ზედიზედ მე-12 მატჩი მოიგო და წლევანდელი სეზონის „ზესტაფონის" მიღწევა გააუმჯობესა. თანაც ამ მოგებით ვეტერინარები ცხრილის სათავეში მოექცნენ და თუ დღეს „დინამო" ცხინვალის „სპარტაკთან" ვერ მოიგებს, დარჩებიან კიდეც.

ბოლნისელები მასპინძლებს ერთი ტაიმი გაუძალიანდნენ, მეორეში კი „ვიტ ჯორჯია" მოედნის სრული ბატონ-პატრონი იყო.

პირველ ტაიმშიც გაიტანა ვასილ ლუჭაშვილმა, თუმც მსაჯმა თამაშგარეს გამო გააუქმა. გარდა ამისა, პირველ ნახევარში გამოსარჩევი ზაზა სახოკიას სამი მეტრიდან მეკარე მინდია ბობლიაშვილისთვის პირდაპირ ხელებში დარტყმული და ალექსანდრე კვახაძის ჯარიმა იყო, რომელიც გოლკიპერის ხელიდან ხარიხას მოხვდა და ხაზზე დაეცა.

„ვიტ ჯორჯიას" დისკვალიფიცირებული მცველების, დავით ლომაიასა და გიგა ბეჭვაიას არყოფნა საერთოდ არ დასტყობია — „სიონს" მთელი მატჩის განმავლობაში ხეირიანი არაფერი შეუქმნია.

„ცალკარა" მეორე ტაიმშიც გაგრძელდა და „ვიტ ჯორჯიამ" პირველში გაცუდებული მომენტების ანაზღაურებას შეუდგა.

რბევა ირაკლი კლიმიაშვილმა დაიწყო — 47-ე წუთზე ბოიომო ფრიდოლინი უხეშად შეცდა, ბურთი თავზე გადაახტა და სახოკიამ საჯარიმოში შეიგდო, ალბათ, თავადაც გაიტანდა, მაგრამ კლიმიაშვილმა დაასწრო და ანგარიში გახსნა.

ამის შემდეგ სახოკიამ ორჯერ იხეირა — ჯერ გიორგი მელქაძის ჩაწოდებულ ჯარიმას ბოლნისელთა საჯარიმო არეულობა მოჰყვა, ყველაზე ადრე ბურთთან სახოკია გაჩნდა — 2:0. 73-ე წუთზე კი კვახაძის გრძელი გადაცემისას ვეტერინართა თავდამსხმელმა მეკარეს წამით დაასწრო და 3:0.

სახოკიას გოლებს შორის ბობლიაშვილს ლუკა რაზმაძისა და ამირან ყველაშვილის დარტყმების კუთხურზე გადაგდება მოუხდა.

მატჩის ბოლოსკენ რაზმაძემ ორი ჯარიმა შეასრულა — პირველად მისი დარტყმული ძელმა აისხლიტა, მეორედ კი კედელმა, თუმც იქიდან გადმოვარდნილს მელქაძემ დაუხვედრა ფეხი — 4:0.

**პრესკონფერენცია**

*გიორგი ყიფშიძე:* თამაშს შესაფასებელი არაფერი აქვს — გუნდმა ორი განსხვავებული ტაიმი ითამაშა. თუ პირველში ფეხბურთელები, ასე თუ ისე, ხლაფორთობდნენ, მეორეში ვერაფერი გააკეთეს.

*ნესტორ მუმლაძე:* „ზედიზედ მე-12 მატჩში გავიმარჯვეთ. ფეხბურთელებმა ყველაფერი გააკეთეს მოსაგებად. ასე უნდა მოხდეს ყველა შეხვედრაში — ჩემპიონობა ერთი ფეხის ნაბიჯზეა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 18 | 15 | 1 | 2 | 35:9 | 46 |
| დინამო | 17 | 15 | 0 | 2 | 44:9 | 45 |
| ზესტაფონი | 18 | 13 | 3 | 2 | 37:10 | 42 |
| ამერი | 18 | 10 | 2 | 6 | 29:20 | 32 |
| ოლიმპი | 17 | 9 | 3 | 5 | 17:12 | 30 |
| ბორჯომი | 18 | 8 | 4 | 6 | 24:20 | 28 |
| მესხეთი | 17 | 7 | 3 | 7 | 17:22 | 24 |
| მგლები | 17 | 7 | 2 | 8 | 16:19 | 23 |
| სიონი | 18 | 5 | 5 | 8 | 20:24 | 20 |
| მერანი | 18 | 5 | 1 | 12 | 10:27 | 16 |
| სპარტაკი | 17 | 4 | 4 | 9 | 7:18 | 16 |
| ლოკომოტივი | 17 | 3 | 3 | 11 | 10:24 | 12 |
| ბათუმი | 18 | 2 | 3 | 13 | 8:33 | 9 |
| დილა | 18 | 1 | 4 | 13 | 7:34 | 7 |



ზაზა სახოკიამ მინდია ბობლიაშვილი ორჯერ დაამწუხრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაიკეთეთ





ეს ამბავი ხუთი წლის წინ მომიყვა გაიოზ დარსაძემ: წყალტუბოს „სამგურალში“ მუშაობისას ერთ-ერთ ფეხბურთელს დავავალე, ამა და ამ სიტუაციაში რომ მოხვდები, დიაგონალური პასი გააკეთე-მეთქი. აღმოჩნდა ის ფეხბურთელი ზუსტად ისეთ მდგომარეობაში და არ გააკეთა დიაგონალური პასი. მერე მითხრეს, თურმე იმ ფეხბურთელს, დიაგონალი რა არის, არ სცოდნია...

მსგავსი ისტორია ნოდარ ახალკაცისგანაც ვიცი. „სარბიელის“ ამასწინანდელ „მრგვალ მაგიდასთან“ თქვა ფედერაციის პრეზიდენტმა, სალიცენზიო კურსებზე მოსულმა ზოგიერთმა მწვრთნელმა, დიაგონალი რა არის, არ იცისო...

სავალალოა, არა? დიახ, მაგრამ ჩვენს ფეხბურთში უფრო სავალალო ამბებიც ხდება. მაგალითად, ეროვნული ჩემპიონატის მატჩზე მივლინებულმა მსაჯთა დამკვირვებელმა შეიძლება არ იცოდეს, რა არის... კარში დარტყმა. ხომ ძნელი დასაჯერებელია?

გუშინდელ „სარბიელში“ ციკლის მეორე წერილი ფეხბურთის ფედერაციის წინა პრეზიდენტის სიტყვებით მთავრდებოდა: მადლობა ჟურნალისტებს, ეს ამბავი რომ გაახმაურესო. შვიდი წლის წინ მერაბ ჟორდანია სპორტულ ჟურნალისტებს გარიგებული მატჩების მხილებისთვის გვიხდიდა მადლობას.

ფედერაციის ახლანდელ პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცსაც არაერთხელ უთქვამს, რომ მზად არის, მოგვისმინოს და კრიტიკაც მიიღოს, თუკი ეს კრიტიკა დასაბუთებული იქნება.

შეუძლებელია, ამას არ დაეთანხმო: კრიტიკა, დიახაც, დასაბუთებული უნდა იყოს. თანაც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, კრიტიკა უშუალოდ ახალკაცისკენ არ არის მიმართული, უბრალოდ, შინაგანი ხმა მკარნახობს, რომ პრობლემის მოგვარება ფედერაციის პრეზიდენტის უშუალო ჩარევის გარეშე ვერ მოხერხდება.

ახლა კი იმ ძნელად დასაჯერებელ ამბავზე.

დავაკვირდეთ ფოტოს (მასზე აღბეჭდილი ეპიზოდი ვიდეოჩანაწერიდან არის ამოღებული და ამიტომ უხარისხოა, მაგრამ რაც გვაინტერესებს, იმის დანახვა შეიძლება).

ეს ჩემპიონატის მე-17 ტურის „სიონი“ — „ამერის“ მატჩის ის ეპიზოდია, რომელიც ყველა სპორტულმა გაზეთმა საგანგებოდ აღნიშვნის ღირსად მიიჩნია.

*„სარბიელი“: „თავად ბოლნისელ ქომაგთა, ფეხბურთელთა და ხელმძღვანელთა აზრითაც, არბიტრი ოთარ ხეცაძე აშკარად შეცდა და „ყვითლების“ სასარგებლოდ პენალტი არ დანიშნა — კუთხურიდან ჩაწოდებულს გიორგი დავითნიძემ თავური შეაგება, კარისკენ მიმავალი ბურთი კი გიორგი ოქროპირიძემ ხელით უკუაგდო. ეს იმდენად აშკარად ჩანდა, რომ მსაჯის გადაწყვეტილებამ, თამაში გრძელდებაო, მთელი სტადიონი გააოცა“.*

*„ოლიმპი“: „საჯარიმოში ჩაწოდების შემდეგ თავით დავითნიძე ურტყამდა, ბურთი ხელზე ერთ-ერთ სიონელს მოხვდა, მაგრამ რატომღაც ამ ეპიზოდზე მსაჯმა თვალები დახუჭა და წესების დარღვევად არ ჩათვალა“.*

*„ლელო“: „ მსაჯს ალბათ მართებდა „სიონის“ კარში პენალტის დანიშვნა — ოქროპირიძეს ბურთი ხელზე მოხვდა, თანაც ბოლნისელთა მცველს ხელი მაღლა ჰქონდა აღმართული.“*

ერთი სიტყვით, სამივე გაზეთი მსაჯის შეცდომაზე წერს. ეს ეპიზოდი მატჩის პირდაპირი ეთერით ჩვენების დროსაც განსჯის საგნად იქცა და ტურის საკვირაო მიმოხილვაშიც საგანგებოდ შენელებულად აჩვენეს. ერთი სიტყვით, ეპიზოდი მთელმა საქართველომ, ყოველ შემთხვევაში, მისმა ფეხბურთით დაინტერესებულმა ნაწილმა ნახა. ხოლო, თუ ვინმემ მაინც ვერ მოახერხა, შეგიძლიათ, ამ ფოტოს დააკვირდეთ. მარცხნივ დავითნიძეა, მის გვერდით ოქროპირიძე. ასევე გთხოვთ, დააკვირდეთ ბურთის მოძრაობის ტრაექტორიასაც და თუ ვინმე იტყვით, რომ დავითნიძის დარტყმული ბურთი კარისკენ არ მიფრინავს...

ახლა კი მოვისმინოთ, რას ამბობს მატჩზე მსაჯთა დამკვირვებლად მივლინებული სერგო კუტივაძე „ოლიმპთან“ ინტერვიუში:

— მაშ, ხეცაძე სწორად მოიქცა?

— რა თქმა უნდა, სწორად მოიქცა. ჯერ ერთი, ბურთი კარში არ გადიოდა. კარში რომ მდგარიყო ოქროპირიძე, მაშინ სხვა საქმეა, შეიძლებოდა მკაცრი სასჯელის გამოყენება.

მიაქციეთ ყურადღება: ჯერ ერთი, ბურთი კარში არ გადიოდაო...

რა თქმა უნდა, მცველის ხელიც რომ არა, კარისკენ გაფრენილ ბურთს ზედ ხაზის გადაკვეთისას, შესაძლოა, მეხი დასცემოდა ან უეცრად ამოვარდნილ გრიგალს საპირისპირო კარში შეეგდო, მაგრამ ამ ეპიზოდის, გინდათ, ტრიბუნიდან, გინდათ, ტელევიზორში ან ამ ფოტოზე მნახველი რომ იტყვის: ჯერ ერთი, ბურთი კარში არ გადიოდაო, უნდა ვუთხრათ: გაიკეთეთ, ბატონო, სათვალე!

იმავე ინტერვიუდან:

— ოქროპირიძემ აშკარად ხელით ითამაშა...

— ვინ იტყვის, რომ ეს იყო განზრახ ხელით თამაში? არ ვიცი, საიდან ნახეთ თქვენ ეს ეპიზოდი. მე იქვე ვიყავი და დარწმუნებული ვარ, განზრახ ხელით თამაში არ ყოფილა.

ბატონო სერგო, და ვინ ამბობს, რომ მცველმა ხელით განზრახ ითამაშა? მაგრამ, როდესაც ბურთი კარში მიდის და მცველს თუნდაც შემთხვევით ხვდება ხელზე, მსაჯთა დამკვირვებელმა უნდა იცოდეს, რომ ეს პენალტია! ხოლო საიდან ვნახეთ ეს ეპიზოდი, უკვე მოგახსენეთ: ზოგმა ტრიბუნიდან, ზოგმა პირდაპირ ეთერში და ყველამ ერთად „კოლხიდას“ საკვირაო მიმოხილვაში.

ისევ ინტერვიუდან:

— პენალტი არ ყოფილა. არბიტრმა ხეცაძემ მართებული გადაწყვეტილება მიიღო. ასეთ შემთხვევაში დაინტერესებული მსაჯი 11-მეტრიანს დადებდა. [illegible] იყო დაინტერესებული და შესაბამისად, არც დანიშნა 11-მეტრიანი.

ეჰ, ბატონო სერგო, ვერ მოგიწონებთ ლოგიკას: ეგებ, არბიტრი სწორედ იმით იყო დაინტერესებული, „სიონს“ რომ არ წაეგო?! რა, ამაში უფრო ნაკლები ლოგიკაა, ვიდრე თქვენს ნათქვამში?!

და რაკი ბატონმა კუტივაძემ ამის თქმა მაიძულა, განვმარტავ: არბიტრ ოთარ ხეცაძეს დაინტერესებულობაში არ ვადანაშაულებ. გნებავთ, ასეც ვიტყვი: მჯერა, რომ ხეცაძე იმ ეპიზოდში, უბრალოდ, ვერ გაერკვა და შეცდომაც ამიტომ დაუშვა და არა მიკერძოებულობის გამო. მაგრამ არბიტრს სწორი გადაწყვეტილების მისაღებად წამის მეათედი აქვს, მსაჯთა დამკვირვებელმა კი ეს ინტერვიუ ჟურნალისტს თამაშიდან მეორე დღეს მისცა, ანუ უფრო გონივრული პასუხის მოსაფიქრებლად დრო საკმარისი ჰქონდა!

აქ კი მთავარ სათქმელს მივადექი: ვის რაში სჭირდება მსაჯთა დამკვირვებელი, რომელიც თავისი უშუალო მოვალეობის შესრულების ნაცვლად, ოდენ იმის ცდაშია, მსაჯის თითოეული შეცდომა როგორმე გაამართლოს?!

თუ ამ კითხვაზე ფედერაც-

იაში ვინმე გვიპასუხებს, მადლობელნი დავრჩებით.

და კიდევ: ზემოთ ერთი კონკრეტული მაგალითი მოვიტანეთ, თორემ ისეც არ არის, სხვა მსგავსი მაგალითები არ გვქონდეს. ანუ პრობლემა ერთ კონკრეტულ მატჩში, ერთ კონკრეტულ დამკვირვებელში კი არ არის, სისტემაა ასეთი, რომლის გამომსწორებელიც არავინ ჩანს.

განა რამეს განსაკუთრებულს მოვითხოვთ? ხომ არ ვამბობთ, მსაჯი თითოეული შეცდომისთვის უმკაცრესად უნდა დაისაჯოსო. თუ ამ კონკრეტულ შემთხვევაზე მიდგა საქმე, არც ოთარ ხეცაძეს ვერჩით რამეს, მაგრამ დამკვირვებელმა რომ სიმართლე უნდა ჩაწეროს პატაკში, ამაზე პრეტენზია ყოველთვის გვექნება!

ზემოთ ვთქვი, ფედერაციის პრეზიდენტის უშუალო ჩარევის გარეშე ამ პრობლემის მოგვარების არ მჯერა-მეთქი. ახლა მოგახსენებთ, რატომაც.

წელიწადნახევრის წინ დაწერილ ერთ წერილს შემოგთავაზებთ და წინდაწინვე გეტყვით, რომ რაც იმ წერილში მეწერა, რეაგირება არ მოჰყოლია! აქედან გამომდინარე, არც ახლა მაქვს იმედი, რომ ამ წერილს პრეზიდენტის ჩარევის გარეშე მოჰყვეს რეაგირება.

აი, ის წერილიც:

საქართველოს ჩემპიონატში არაფერი მომხდარა ისეთი, რაც მსოფლიოს სხვა ქვეყნების ჩემპიონატში არ ყოფილა. მეტიც: გოჭის თავი და მობილური ტელეფონები, რაც „კამპ ნოუსა" და სხვა სტადიონებზე გადავარდნილა, საქართველოში ჯერ არავის უსვრია — ალბათ ქართველ გულშემატკივართა მატერიალური მდგომარეობის გამო.

თუმცა საქართველოში სხვა უცნაურობები მომხდარა. მაგალითად, ფეხბურთელს აუტი პირითი ხაზიდან ჩაუწოდებია, შეცვლილი ფეხბურთელი კი მოედნიდან გასულა და უკან დაბრუნებულა...

ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი სხვაა — როგორი დამოკიდებულება გვაქვს საფეხბურთო უმსგავსოებების მიმართ. დაგვეთანხმებით, რომ ქვეყნებში, სადაც თითოეულ ფაქტზე გულდასმით მსჯელობენ და ადეკვატურ გადაწყვეტილებებს იღებენ, უმსგავსობანი ნორმად არ იქცევა ხოლმე. ანუ იმის თქმა გვსურს, რომ მსაჯებიც კიდევ ბევრჯერ შეცდებიან და გულშემატკივარიც მოიქცევა უწესოდ, ოღონდ უწესობა ცხოვრების წესად ვერ იქცევა და მხოლოდ გამონაკლისის სახე ექნება.

ლაპარაკი კი იქით მიგვყავს, რომ საქართველოში ასე არ არის — აქ ისინი, ვისაც გულდასმით მსჯელობა და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღება ევალებათ, ამას არ თუ ვერ აკეთებენ.

ზოგად მსჯელობას ყოველთვის სჯობს კონკრეტული მაგალითების გახსენება და მათი გარჩევით დასაბუთება, რა არის და როგორ.

გინებით დავიწყოთ. „ბორჯომისა" და „ვიტ ჯორჯიას" მატჩისას ვიტელმა პაატა დათუნაიშვილმა ბორჯომელ გულშემატკივარს შეაგინა. რამდენიმე ხნის მერე კი „ამერი" — „ლოკომოტივის" მატჩისას არბიტრმა მალხაზ ბეუქლიშვილმა „ამერის" გულშემატკივარს შეუკურთხა. ანუ გვაქვს, ერთი შეხედვით, ორი იდენტური საფეხბურთო დანაშაული: მატჩის მონაწილე გულშემატკივარს აგინებს. მაგრამ აქვე აღვნიშნოთ, რომ ამ ორი ფაქტის მიმსგავსება-მიტოლება გვარიანი ბრმაყრუობაა — მსაჯის ავყიობა ხომ ფეხბურთისთვის ერთობ უჩვეულო და ათასგზის საზიანო საქმეა.

და რა მოჰყვა ამას? დათუნაიშვილს ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, ბეუქლიშვილი კი მხოლოდ ორი ტურით დაასვენეს (იმ ორი ტურიდან ერთში ბეუქლიშვილი ისედაც ისვენებდა, ანუ, ფაქტობრივად, მხოლოდ ერთმატჩიანი სასჯელი გამოუვიდა).

დავაზუსტებთ: დათუნაიშვილის უფრო ლმობიერად ან ბეუქლიშვილის უფრო მკაცრად დასჯას კი არ ვითხოვთ — გასარკვევია, რატომ არ მიიღეს ამ ორი დანაშაულის გარჩევისას თუნდაც ერთნაირი გადაწყვეტილება? ეს უპრინციპობა არ არის?!

ხოლო იქ, სადაც მოსამართლე უპრინციპოა და არაადეკვატურ გადაწყვეტილებებს იღებს, არ უნდა გვქონდეს იმედი, რომ პრობლემა მოგვარდება.

დაგვეთანხმებით, ნებისმიერი სასჯელის გამოტანისას მთავარი მიზანი ის უნდა იყოს, რომ მომავალში დანაშაულთა რიცხვი მაქსიმალურად შემცირდეს.

სხვათა შორის, მსაჯთა შეფს ამირან კაჭახიძეს ამ კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ფრიად საინტერესო მოსაზრება აქვს: თურმე ბეუქლიშვილი უფრო მსუბუქად იმიტომ დაისაჯა, რომ ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს და ბევრი მატჩით რომ დაესაჯათ, ქირის ფულის გადახდა გაუჭირდებოდა.

ამ არგუმენტის საფუძვლიანობაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, კი ბატონო, ეგრე იყოს. მეტიც — სულაც პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცათ, მაგრამ მაშინ დათუნაიშვილიც პირობითად უნდა დასჯილიყო.

ვიმეორებთ: ჩვენ სასჯელის ზომაზე კი არა, ადეკვატურობაზე ვლაპარაკობთ. მაგრამ როცა ერთს მსუბუქად სჯი, რაკი ქირა აქვს გადასახდელი, მეორეს კი, რა უჭირს, მისი ძმაც ფეხბურთელია, ხელფასი აქვს და ძმას როგორმე ხელს გაუმართავსო — საქმისადმი ამგვარი მიდგომა, ფაქტია, გინების შემთხვევების შემცირებას ხელს ვერ შეუწყობს.

რა თქმა უნდა, მხოლოდ მოედანზე მყოფები არ იგინებიან. იგინება მაყურებელიც და არა მხოლოდ იგინება.

კიდევ ერთი მაგალითი. გულშემატკივრის ქცევა „ამერი" — „ოლიმპის" მატჩზე.

ერთ ეპიზოდში „ამერის" გულშემატკივარი გვერდითი მსაჯის მიმართულებით იფურთხება. მსაჯი ამას ოპერატიულად აფიქსირებს. მეორე, მესამე და მეოთხე ეპიზოდებში კი „ოლიმპის" გულშემატკივრები ამერელებს — რატი წინამძღვრიშვილს (ორჯერ) და დავით ბოლქვაძეს ასანთის კოლოფებს ესვრიან და არტყამენ. მეოთხე მსაჯს ასანთის კოლოფის სროლის სამიდან ერთ შემთხვევაში თავადვე გამოაქვს კოლოფი მოედნიდან.

მერე კი ისე ხდება, რომ ფედერაციაში მიტანილ ოქმში შეფურთხების ფაქტი წერია, ასანთის კოლოფის გარტყმისა კი — არა.

და ისევ კითხვა: რატომ მოხდა ასე? გვიჭირს დაჯერება, რომ მსაჯს ეს გულმავიწყობით მოუვიდა.

და ისევ იგივე ლოგიკური ჯაჭვი: თუ მსაჯისკენ ფურთხება დანაშაულია, ფეხბურთელისთვის ასანთის კოლოფის გარტყმაც დანაშაული უნდა იყოს, ხოლო თუ სროლა დანაშაული არ არის, არც ფურთხება უნდა იყოს დანაშაული.

ამ შემთხვევაშიც, ჩვენ სასჯელის ზომაზე არ ვლაპარაკობთ, ადეკვატურობასა და პრინციპულობაზე მოგახსენებთ, რომელიც არც მსაჯის საქციელში ჩანს და არც მსაჯების უფროსის — ნუთუ არ უნდა დაინტერესდე ამგვარი გულმავიწყობის მიზეზებით?

ერთი საქმეც: „დინამო" — „ოლიმპის" მატჩზე არბიტრ ლაშა სილაგავას მსაჯობა.

დაგვეთანხმებით, რომ თუ სილაგავამ იმ მატჩში სასჯელის ღირსი შეცდომები დაუშვა, კომისიას პრინციპულობა უნდა გამოეჩინა და დისკვალიფიკაცია მიეცა. ხოლო თუ კომისია თვლის, რომ სილაგავას ასეთი შეცდომები არ დაუშვია, ამ შემთხვევაშიც პრინციპულობა უნდა გამოეჩინა და მსაჯი დაეცვა. ვფიქრობთ, აქ გაუგებარი არაფერია. ახლა ვნახოთ, რა გადაწყვეტილება მიიღო კომისიამ: „კომისია დარწმუნდა, რომ დატვირთულმა კალენდარმა, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, გამოიწვია ლ. სილაგავას გადაღლა და გადაწყვიტა, გაათავისუფლოს იგი უმაღლესი და პირველი ლიგის მატჩების მსაჯობისგან მომავალი ერთი ტურით".

რა გამოდის — სილაგავა არც დაისაჯა და არც გამართლდა, ჩვენი აზრით კი, მსაჯთუხუცესებმა უპრინციპობა გამოიჩინეს.

ეს მაგალითები, ვფიქრობთ, საკმარისია. იმედი გვაქვს, იმასაც დააკვირდებოდით, რომ სათამაშო ეპიზოდებში მსაჯთა შეცდომებზე არაფერი გვითქვამს, რაკი სათამაშო ეპიზოდის გარჩევა ხშირ შემთხვევაში ფრიად საკამათოა.

ჩვენს მიერ მოტანილი სამივე მაგალითი კი ისეთია, გონიერი კაცი საკამათოდ რომ არ გახდის. მომავალში კი, როცა ქართული ფეხბურთის მესვეურები აღშფოთებულები გვეტყვიან, ფეხბურთელი და მაყურებელი უმსგავსოდ მოიქცნენო, ეგებ გულის შორეულ კუნჭულში ეჭვად მაინც გაჰკრათ, ჩვენი უპრინციპობის, გულმავიწყობის, არათანმიმდევრულობის, არაადეკვატურობის თუ არაკომპეტენტურობის ბრალიც ხომ არ არისო...

**ეს წერილი, შეგახსენებთ, წელიწადნახევრის წინ არის დაწერილი და თუ ვინმე იტყვის, რეაგირების ღირსი არ იყოო, შეუძლია, ხმამაღლა თქვას.**

**ბოლოს კი გუშინწინდელ ამბავს გავიხსენებთ: ნოდარ ახალკაცი მსაჯებს და მსაჯთა დამკვირვებლებს შეხვდა და მკაცრად აუკრძალა კომენტარების გაკეთება. იმიტომ ხომ არა, ამგვარი წერილების დაწერის საბაბი რომ აღარ გვქონდეს?!**

**გიორგი დარჯანია**



შეცდომის აღიარება ძლიერი პიროვნებების თვისებაა, სუსტი ამას ვერ შეძლებს. ბოლო დღეებში ორმა ძალიან ცნობილმა მსაჯმა აღიარა შეცდომები — მარკუს მერკმა და სტეფანო ფარინამ. ამის თაობაზე „სარბიელი" წერდა...

**სტეფანო ფარინამ** აღიარა, რომ „კატანიასა" და „ინტერის" მატჩში შეცდომა დაუშვა, როცა ესტებან კამბიასოს გოლი ჩათვალა, რადგან არგენტინელი თამაშგარეში გახლდათ. სიცილიელი ქომაგები მის ამ გადაწყვეტილებას ირონიით შეხვდნენ და მთელი დარჩენილი დროის მანძილზე მსაჯს ცინიკურ ოვაციებს უწყობდნენ.

„მოგვიანებით ვნახე ტელევიზორში გოლი და შეცდომასაც ვაღიარებ" — თქვა ფარინამ.

**„ვერდერმა"** „დორტმუნდს" 2:0 მოუგო, თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, ამ შეხვედრის პირველი გოლი არ უნდა ჩათვლილიყო: გოლის ავტორი მარკუს როზენბერგი ოფსაიდში იდგა.

და იცით, როდის მიხვდა ფიფას ორგზის საუკეთესო არბიტრი თავის შეცდომას? სულ რამდენიმე წამში, როდესაც სტადიონზე დამონტაჟებულ დიდ ტაბლოზე ეპიზოდი გაიმეორეს, მაგრამ რაღა დროსი იყო...

მერკი: „ძალიან ცუდია, როდესაც სტადიონზე ყველა ხედავს, რომ ჩვენ, მსაჯები შევცდით. პირადად მეც უშუალოდ გოლის მერე ვნახე საკუთარი შეცდომა და ეს ჩემი 20-წლიანი კარიერის ერთ-ერთი უარესი მომენტი გახლდათ. ძალიან გავმწარდი".

## მომდევნო «სარბიელში»:

შვიდი წლის წინ თბილისის „მერანის" და ფოთის „კოლხეთის" მატჩის გარიგებაში მხილების პერიპეტიები

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მანახე, რამდენი ვარსკვლავი გაქვს და გეტყვი, როგორი სკოლა ხარ

**გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი საფეხბურთო სკოლების ლიცენზირებაზე გვესაუბრა, რომელიც 2006 წლის შემოდგომაზე დაიწყო...**

„პირველ ეტაპზე სკოლები ვიზუალურად შევამოწმეთ, ნოემბერ-დეკემბერში კი ყველა სკოლა მეტ-ნაკლებად შესწავლილი იყო. 2007 წლის დასაწყისში 202-ივე არსებულ სკოლას გავუგზავნეთ მოთხოვნების კრებული, რომელიც ითვალისწინებდა ლიცენზირებისთვის საჭირო პუნქტების გაცნობას. აპრილ-მაისში ყველა სკოლისგან დავიბრუნეთ ანკეტები, მერე ისინი შევისწავლეთ და დავამუშავეთ. სექტემბერში შეიქმნა ბავშვთა ფეხბურთის კომიტეტი სკოლებთან პრაქტიკული სამუშაოების ჩასატარებლად...

...ლიცენზირებისას მეხუთე ეტაპი ოქტომბერ-დეკემბერში დაიწყო და მაისში დასრულდება. მთავარი ისაა, რომ ბავშვთა ფეხბურთში დასაქმებულ მწვრთნელებს მივცემთ C ლიცენზიას, რაც აუცილებელია. დღეს 490 მწვრთნელი მუშაობს ბავშვებში, ამათგან კი 154-ს გააჩნია ლიცენზია. უახლოეს პერიოდში კურსები დაგეგმილია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. გვინდა, რაც შეიძლება, ბევრმა მათგანმა მიიღოს ლიცენზია...

...რამდენიმე დღის წინ ქუთაისში იმერეთის რეგიონის 74 მწვრთნელს მივეცით C ლიცენზია და სასიამოვნოდ გამაკვირვა იმან, რომ მათში ასაკოვანებიც ბევრნი იყვნენ — მაგალითად, „ზესტაფონის" ყოფილი მწვრთნელი ზაურ ჩუბინიძე, რომელმაც გვითხრა, მინდა, რომ ჩემი ცოდნის ადეკვატური საბუთი მქონდესო. ჩუბინიძეს ხომ რამდენიმე თაობა აღუზრდია. სავარაუდოდ, B ლიცენზიების გაცემაც რეგიონებიდან მოხდება...

...ივნისში პროგრამის მეექვსე ეტაპი დაიწყება, როცა ბავშვთა და ჭაბუკთა ლიგებში სეზონი დასრულდება და ჩვენ კიდევ ერთხელ დავურიგებთ სკოლებს ბლანკებს, რომელშიც იქნება რეკომენდაციები და მოთხოვნები. მეშვიდე ეტაპი კი სექტემბერ-ოქტომბერში განხორციელდება, როცა სკოლებიდან მოპოვებულ მონაცემებს შევაჯამებთ. მერე კი დაიწყება ლიცენზიების გაცემა და საბოლოოდ, 2009-2010 წლების სეზონში ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ ტურნირებში არალიცენზირებული სკოლების გუნდები მონაწილეობას ვერ მიიღებენ...

...ფიფას „ჰეთ თრიქის" პროგრამით შემოსული თანხის დიდი ნაწილი ბავშვთა ფეხბურთისთვის დაიხარჯება. ჩვენ წინა პროგრამით 29-ის ნაცვლად 70 მოედანი გავაკეთეთ...

...და კიდევ, ბავშვთა სკოლების ლიცენზირების პროგრამა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ როცა სკოლაში გაზრდილი მოთამაშე რომელიმე კლუბთან პროფესიონალურ კონტრაქტს გააფორმებს, სკოლა თანხას იმის მიხედვით მიიღებს, თუ რამდენი ვარსკვლავი აქვს...

...ახლა კი ვარსკვლავების შესახებ: სამ ვარსკვლავს მიიღებს ის საფეხბურთო სკოლა, რომელსაც ეყოლება არანაკლებ 8 ასაკობრივი ჯგუფი, თითო ჯგუფში არანაკლებ 20 ფეხბურთელი, სულ ცოტა, 2 მწვრთნელი ერთ ჯგუფზე, ექნება არანაკლებ 4 გასახდელი, 4 საოფისო ოთახი, 16 საშხაპე, ტრიბუნა დაიტევს არანაკლებ 1 000 მაყურებელს, ექნება მსაჯთა არანაკლებ 4 გასახდელი, ოქმის შევსების, სულ ცოტა, 4 ოთახი. ორ ვარსკვლავს მიიღებს სკოლა, რომელსაც ეყოლება არანაკლებ 4 ასაკობრივი ჯგუფი, თითო ჯგუფში, სულ ცოტა, 25 მოთამაშე, ჯგუფზე, სულ ცოტა, 1 მწვრთნელი, არანაკლებ 3 გასახდელი, სულ ცოტა, 2 საოფისო ოთახი, სულ ცოტა, 8 საშხაპე, არანაკლებ 500 ადგილი ტრიბუნაზე... ერთი ვარსკვლავი მიენიჭება სკოლას, სადაც იქნება არანაკლებ 2 ასაკობრივი ჯგუფი, თითო ჯგუფში, სულ ცოტა, 30 ფეხბურთელი, 1-2 მწვრთნელი თითო ჯგუფზე, სულ ცოტა, 2 გასახდელი, 1 საოფისე ოთახი, 4 საშხაპე. ტრიბუნაზე 100 ადგილი მაინც.

**ილია ნანოგაშვილი**

# ლატვიამ გლდანისთვის გაამზადა



**ლატვიის** 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცმა გენადის სიტიკსმა თბილისში ჩამოსაყვანი შემადგენლობა დაასახელა.

გეცოდინებათ, საქართველო — ლატვიის ახალგაზრდული ნაკრებები 25 მარტს გლდანში, „ამერის" სტადიონზე შეერკინებიან, თამაში კი 16 საათზე დაიწყება.

აღსანიშნავია, რომ ბალტიისპირელებს მხოლოდ ერთი ლეგიონერი ჰყავთ — იტალიური „ასკოლის" ფორვარდი ედგარს გაურაკსი.

*მეკარეები:* *ჰერმანის მალინსი (სკონტო), ალექსანდრს ვლასოვსი (მეტალურგსი), ევგენის საზონოვსი (დაუგავა);*

*მცველები:* *ვიტალის სმირნოვსი, სერგეის კომანსი, ვადიმს გაილსი (სკონტო), არტურს სილაგაილისი (ბლაზმა), ვლადისლავს გაბოვსი (დაუგავა), რიტუს კრიაუკლასი (დინაბურგი);*

*ნახევარმცველები:* *ოლეგ ლაიზანსი, იგორს კოზლოვსი (სკონტო), ალექსანდრ გრამოვიცსი (ბლაზმა), არტის ლავზდინსი (ვენტსპილსი), ვადიმს ზიულევსი (დაუგავა), ალექსანდრ სოლოვიოვსი, დმიტრის ზოლოგარიოვსი (ოლიმპი);*

*თავდამსხმელები:* *არტიომს რუდნევსი (დაუგავა), ვლადიმირს კამეშსი (მეტალურგსი), ივანს ლუკიანოვსი (სკონტო), ედგარს გაურაკსი (ასკოლი, იტალია).*

**ილია ნანოგაშვილი**

# კითხვის ნიშანი კობის ბელფასტს

**არ ვიცით,** მოასწრებს თუ არა ლევან კობიაშვილი 26 მარტამდე გამოჯანმრთელებას და ჩრდილოეთ ირლანდია — საქართველოს ამხანაგურ მატჩში თამაშს, ჯერჯერობით კი საქმე ასეა: კობი „შალკესთან" ერთად ვერ ვარჯიშობს და კვირას „ჰერტასთან" ბუნდესლიგის შეხვედრაში ნამდვილად ვერ იბურთავებს.

ლევანს სამი დღის წინაც ვესაუბრეთ და გვითხრა, „დუისბურგთან" 14 მარტის მატჩში კუნთის ტრავმის გამო გამოვტოვე, თუმც გუნდთან ერთად დღეს-ხვალ დავიწყებ ვარჯიშსო. როგორც ჩანს, ტრავმა ერთ-ორდღიანი არ ყოფილა...

**ილია ნანოგაშვილი**

# რა გვარია მუმუს მძღოლი?




**სამარის** „კრილიადან" მოსკოვის „ლოკომოტივში" გადასულ დავით მუჯირს რუსეთის დედაქალაქი ჯერ კარგად არ შეუსწავლია და ამაში მალხაზ ასათიანი ეხმარება. კერძოდ: „ასკა" მუჯირის ოჯახისთვის თურმე „პირადი მძღოლის" ფუნქციებს ასრულებს.

„სპორტ-ექსპრესის" ცნობით, ასათიანი „მუმუს" და მის მეუღლეს მოსკოვის ქუჩებში ბინის საძებნელად დაატარებს.

„ასათიანის მადლობელი ვარ, ის მოსკოვში გადაადგილებაში გვეხმარება, მე კი ჯერჯერობით მის გვერდით ვზივარ და გზების დამახსოვრებას ვცდილობ, თუმცა მალე თვითონაც მივუჯდები საჭეს" — თქვა მუჯიმა.

**ილია ნანოგაშვილი**

# ბაქომ გამტანი მუჯირიც დასაჯა

**აზერბაიჯანის** თასის მეოთხედფინალში ამირან მუჯირის და ალექსანდრე გოგობერიშვილის „ბაქომ" რომ „გაბალასთან" 1:1 ითამაშა და პენალტებით წააგო, გუშინაც ვწერდით. „ბაქოს" ხელმძღვანელობამ ფეხბურთელები დააჯარიმა და „შავ სიაში" მუჯირიც მოხვდა — მიუხედავად იმისა, რომ ბაქოელები სწორედ მისი გოლით იგებდნენ თამაშს.

სამაგიეროდ, გადარჩა გოგობერიშვილი, რომელსაც „გაბალასთან" ტრავმის გამო არ უთამაშია.

**ილია ნანოგაშვილი**

## თქვენი ინტერვიუ ლევან ყენიასთან

**«შალკე» გელზენკირხენი, გერმანია**

*რუბრიკის მორიგ რესპონდენტ ლევან ყენიასთან კითხვები გამოგზავნეთ 31 მარტის ჩათვლით. დაუსვით თქვენთვის საინტერესო კითხვა ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ იმედს და მიიღეთ პასუხები...*

მოგვმართეთ ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: geo_geo_fan@hotmail.com



# ჰარის ოზობა


ჰარი კიუელი

**ჰარი კიუელს** „ლივერპულთან“ კონტრაქტის გახანგრძლივება ისე აქვს გულში ამოჭრილი, რომ მიზნის მიღწევას, რადაც უნდა დაუჯდეს, მაინც აპირებს. არადა, მოგეხსენებათ, კიუელის სახელს ბოლო დროს გლაზგოს „სელტიკს“ უკავშირებდნენ.

მერსისაიდულ კლუბთან ავსტრალიის ნაკრების შემტევი ნახევარმცველის ამჟამინდელი კონტრაქტი სეზონის ბოლოს კარგავს ძალას, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ მიხოვნელი არ გამოჩნდა, კიუელი, შესაძლოა, უგუნდოდ დარჩეს. შეგახსენებთ, რომ „ლივერპულის“ ესპანელმა მწვრთნელმა რაფა ბენიტესმა თავდამსხმელი ბოლოს „ბარნსლისთან“ ასოციაციის თასის შეხვედრაში ათამაშა. ის თამაში, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, არა „ლივერპულის“, არამედ „ბარნსლის“ გამარჯვებით დასრულდა და ამის მერე განაცხადა ბენიტესმა, ავსტრალიელს ახალი კონტრაქტის გასაფორმებლად გვარიანი ოფლისღვრა მოუწევსო.

რაც შეეხება მოახლოებულ მატჩს „მანჩესტერ იუნაიტედთან“, რომელიც ამ უქმეებზე უნდა გაიმართოს, კიუელი მას უეჭველად გამოტოვებს, რადგან ის ავსტრალიის ნაკრებშია გამოძახებული მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში ჩინეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ სათამაშოდ. ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ბენიტესი კიუელის სანაკრებო შეხვედრაზე გაშვებას მაინცდამაინც არ შეეწინააღმდეგებია.

მაგრამ, როგორც თავში მოგახსენეთ, კიუელი არ ნებდება და „ლივერპულ დეილი პოსტთან“ ინტერვიუში კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე ფიქრობს:

„სეზონის დამთავრებამდე კიდევ მაქვს დრო. ჩემს ახლანდელ კონტრაქტს ვადა სწორედ მაშინ ეწურება და ამ ვადის ამოწურვამდე ყველა ღონეს ვიხმარ, რათა კლუბთან ხელახალი ხელშეკრულება გავაფორმო. ოზი ვარ, რაც იმას ნიშნავს, რომ არასდროს ვნებდები. ახლაც ასე იქნება, საფინალო სასტვენამდე არ დავთმობ პოზიციებს. ჩემთვის ყველაზე კარგი სულ მცირე კიდევ ორ შეხვედრაში მონაწილეობა იქნება და ამ ორი შეხვედრის განმავლობაში ყველა ღონეს ვიხმარ, რათა მწვრთნელს თავი მოვაწონო“.

**ბაჩუნა ძედია**

| XXXI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ასტონ ვილა | : | სანდერლენდი |
| ბლექბერნი | : | უიგანი |
| ბოლტონი | : | სიტი |
| ევერტონი | : | ვესტ ჰემი |
| მიდლსბრო | : | დერბი |
| ნიუკასლი | : | ფულემი |
| რედინგი | : | ბირმინგემი |
| ტოტენჰემი | : | პორტსმუთი |
| **ხვალ** | | |
| ჩელსი | : | არსენალი |
| მანჩესტერი | : | ლივერპული |

# ინგლისი
# ლიდერთა ტური

**პრემიერლიგის** 31-ე ტურმა შეიძლება ძალიან ბევრი რამ გადაწყვიტოს. მთავარი მატჩები ხვალ არის, ერთმანეთს ოთხეულში მყოფი გუნდები ხვდებიან — „მანჩესტერი“ „ლივერპულს“ მასპინძლობს, ხოლო „ჩელსი“ — „არსენალს“.

ზედა სამეულისგან განსხვავებით, „ლივერპულს“, ფაქტობრივად, დაკარგული აქვს ჩემპიონობის შანსი, მაგრამ საჩემპიონო ბრძოლაში სერიოზული როლის თამაში შეუძლია. რაფაელ ბენიტესის შეგირდები ყველაფერს გააკეთებენ, რათა მათთვის ყველაზე პრინციპულ მეტოქეს პრემიერლიგაში 2004 წლის მერე პირველად მოუგონ.

ბრწყინვალე ფორმაშია მერსისაიდელთა კაპიტანი სტივენ ჯერარდი, რომელიც კარიერაში მეორედ არის ოცგოლიან ნიშნულთან ახლოს, ერთი ბურთიღა აკლია. შეუდარებელია გუნდის ესპანელი ფორვარდი ფერნანდო ტორესიც, ვისაც მიმდინარე სეზონში უკვე 27 გოლი მოუგროვდა.

„ფეხბურთელებს, განსაკუთრებით კი შემტევებს შორის ურთიერთგაგება ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ჯერარდ-ტორესის ჩინებულმა წყვილმა დიდი უპირატესობა მოგვცა. ჩვენს მეტოქეებს ძალიან უჭირთ ორივეს შეჩერება“ — თქვა „ლივერპულის“ მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა.

თავისი ვარსკვლავები, კრიშტიანუ რონალდუს თამადობით, „მანჩესტერსაც“ ჰყავს. დიდებულ ფორმაში მყოფ პორტუგალიელ შემტევ ნახევარმცველს მართლაც საოცარი სეზონი აქვს. მან უკვე 33 გოლი გაიტანა და ლეგენდარული ჯორჯ ბესტის რეკორდი გააუმჯობესა.

„წითელი ეშმაკების“ მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი: „აღფრთოვანებული ვუყურებ ხოლმე, როცა რონალდუს უხეშად ეთამაშებიან და ის დგება ფეხზე, რათა უფრო მეტი შემართებით გააგრძელოს თამაში. როცა სისწრაფეს აკრეფს, მისი შეჩერება თითქმის შეუძლებელია. ოპონენტებს ისღა დარჩენიათ, იუხეშონ, წესები დაარღვიონ, მერე კი ხშირად კრიშტიანუს აბრალებენ — ისიმულანტაო“.

„მანჩესტერს“ ალბათ ლუი საა დააკლდება. სათუოა რაიან გიგზისა და ედვინ ვან დერ სარის თამაშიც. რიო ფერდინანდი შაბათს ალბათ შეძლებს მინდორზე გასვლას. „ლივერპულს“ კი დანიელ აგერი და სტივ ფინანი აკლია.

ერთ დროს ერთპიროვნულმა ლიდერმა „არსენალმა“ უპირატესობა უცებ გაფლანგა. ბოლო 4 თამაში „მეთოფეებმა“ ფრედ დაასრულეს და ახლა მდევრის როლში არიან. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე პრემიერლიგაში არსენ ვენგერის შეგირდებს მხოლოდ ერთი მარცხი აქვთ — სტუმრად „მიდლსბროსთან“ 1:2.

„ჩვენ გვაქვს ლიდერობის გამოცდილება და შეგვიძლია, ფსიქოლოგიურ ზეწოლასაც გავუძლოთ, თუმცა ცუდი არც მეორე და მესამე ადგილებია. სეზონის ბოლო ძალიან საინტერესო იქნება. იმედია, ჩემპიონები ჩვენ გავხდებით“ — აღნიშნა „არსენალის“ ფრანგმა მცველმა გაელ კლიშიმ.


კრიშტიანუ რონალდუს მეტოქეთა უხეშობა არ აშინებს

„ჩელსის“ წინა მატჩშიც ლონდონური დერბი ჰქონდა. „ტოტენჰემთან“ დრამატულმა 4:4-მა ავრაამ გრანტის შეგირდებს საჩემპიონო შანსი შეუმცირა, მაგრამ ლონდონელები იმედიანად არიან და ბოლომდე ბრძოლას აპირებენ.

„დარწმუნებული ვარ, ბევრი ცვლილება და დიდი დაძაბულობა იქნება საჩემპიონო ბრძოლაში. „არსენალს“ ვმასპინძლობთ, მერე „მანჩესტერი“ გვესტუმრება. მათ ერთმანეთშიც აქვთ სათამაშო. ასე რომ, მთავარი ბრძოლა წინ არის და კარგი შანსები ჯერაც გვაქვს“ — განაცხადა „ჩელსის“ ნახევარმცველმა ჯო კოულმა.

„არსენალს“, სავარაუდოდ, არ ეყოლება აბუ დიაბი და ტომაშ როსიცკი. ედუარდო და სილვა კიდევ დიდხანს ვერ ითამაშებს, ხოლო „ჩელსის“ ალბათ ისევ დააკლდება პეტრ ჩეხი. ექსარსენალელ ნიკოლა ანელკას მცირე ტრავმა აწუხებს, მაგრამ, ექიმების ვარაუდით, თამაშს შეძლებს.

„ევერტონი“, რომელსაც ოთხეულში მოხვედრის იმედი ჯერ არ დაუკარგავს, „ვესტ ჰემს“ მასპინძლობს. რამდენიმე ძირითადი მოთამაშე ორივე გუნდს აკლია.

საინტერესო მატჩია „უაით ჰარტ ლეინზეც“. ჰარი რედნაპის მეთექვსმეადგილოსანი „პორტსმუთი“ „ტოტენჰემს“ სტუმრობს. მასპინძლებს სერიოზული დანაკლისი არ აქვთ. „პორტსმუთი“ კი სულეი ალი მუნტარის ვერ დაიხმარს. სათუოა ნოე პამაროტის თამაში.

დიდი ჯახები გველის ცხრილის ქვედა ნაწილში მყოფი გუნდების მონაწილეობითაც. „რედინგი“ „ბირმინგემს“ დაუხვდება და ეგრეთ წოდებული ექვსქულიანი მატჩია „სენტ ჯეიმს პარკზეც“, სადაც „ნიუკასლი“, რომელსაც ალბათ თავადაც არ ახსოვს, ბოლოს როდის მოიგო, მე-19 ადგილზე მყოფ „ფულემს“ მიიღებს.

**კოკი კანდელაკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მანჩესტერი | | | 2:0 | | 2:1 | 2:0 | | 1:2 | 2:0 | | 1:0 | 4:0 | 4:1 | 6:0 | 0:0 | 1:0 | 1:0 | 2:0 | 2:0 | 4:1 | 30 | 22 | 4 | 4 | 61:15 | 70 | 13 | 1 | 1 | 34:5 | 40 | 9 | 3 | 3 | 27:10 | 30 |
| 2 | არსენალი | 2:2 | | 1:0 | | | 3:1 | 1:1 | 1:0 | 2:0 | 2:0 | 2:1 | 2:0 | 1:1 | 3:0 | | 1:1 | 3:2 | 2:0 | 2:1 | 5:0 | 30 | 19 | 10 | 1 | 58:22 | 67 | 12 | 4 | 0 | 33:10 | 40 | 7 | 6 | 1 | 25:12 | 27 |
| 3 | ჩელსი | | | | 0:0 | 1:1 | 1:0 | 4:4 | 6:0 | 0:0 | 1:0 | 2:0 | | | 2:1 | 1:0 | 3:2 | 2:0 | | 0:0 | 6:1 | 30 | 19 | 8 | 3 | 53:22 | 65 | 9 | 5 | 0 | 29:9 | 32 | 10 | 3 | 3 | 24:13 | 33 |
| 4 | ლივერპული | 0:1 | 1:1 | 1:1 | | | 4:1 | 2:2 | | | 4:0 | 2:2 | 1:1 | 3:2 | 3:0 | 2:1 | 0:0 | 3:0 | 4:0 | 2:0 | 6:0 | 30 | 16 | 11 | 3 | 55:21 | 59 | 9 | 6 | 1 | 38:12 | 33 | 7 | 5 | 2 | 17:9 | 26 |
| 5 | ევერტონი | 0:1 | 1:4 | | 1:2 | | 3:1 | | 1:0 | 1:1 | | 0:0 | 2:1 | 2:0 | | 1:0 | 3:1 | 7:1 | 2:0 | 3:0 | | 30 | 17 | 5 | 8 | 47:25 | 56 | 9 | 2 | 3 | 27:12 | 29 | 8 | 3 | 5 | 20:13 | 27 |
| 6 | პორტსმუთი | 1:1 | 0:0 | 1:1 | 0:0 | 0:0 | | 2:0 | 0:0 | | 0:0 | 0:1 | | 0:1 | | 7:4 | 4:2 | 1:0 | 3:1 | | 3:1 | 30 | 14 | 8 | 8 | 44:31 | 50 | 6 | 7 | 2 | 22:12 | 25 | 8 | 1 | 6 | 22:19 | 25 |
| 7 | ასტონ ვილა | 1:4 | 1:2 | 2:0 | 1:2 | 2:0 | 1:3 | | 1:1 | 1:1 | 1:0 | 2:1 | | 1:1 | 4:1 | 3:1 | | | | 2:1 | 2:0 | 30 | 13 | 10 | 7 | 52:39 | 49 | 8 | 3 | 4 | 25:18 | 27 | 5 | 7 | 3 | 27:21 | 22 |
| 8 | სიტი | 1:0 | 1:3 | | 0:0 | 0:2 | | 1:0 | | 2:2 | 1:1 | 2:1 | 0:0 | 3:1 | 3:1 | 2:1 | 1:0 | 1:0 | 4:2 | | 1:0 | 30 | 13 | 9 | 8 | 36:34 | 48 | 10 | 4 | 2 | 23:14 | 34 | 3 | 5 | 6 | 13:20 | 14 |
| 9 | ბლექბერნი | | 1:1 | 0:1 | 0:0 | 0:0 | 0:1 | 0:4 | 1:0 | | 0:1 | | | 1:1 | 3:1 | 4:2 | 2:1 | 1:0 | 4:1 | 1:1 | | 30 | 12 | 10 | 8 | 39:37 | 46 | 6 | 5 | 4 | 18:15 | 23 | 6 | 5 | 4 | 21:22 | 23 |
| 10 | ვესტ ჰემი | 2:1 | 0:1 | 0:4 | 1:0 | 0:2 | | | 0:2 | 2:1 | | 1:1 | 1:1 | 3:0 | | 1:1 | 1:1 | 3:1 | 1:1 | 2:1 | | 30 | 12 | 7 | 11 | 33:36 | 43 | 6 | 5 | 4 | 18:18 | 23 | 6 | 2 | 7 | 15:18 | 20 |
| 11 | ტოტენჰემი | 1:1 | 1:3 | 4:4 | | 1:3 | | 4:4 | 2:1 | 1:2 | 4:0 | | 4:0 | | | 6:4 | 2:3 | 2:0 | | 5:1 | 4:0 | 30 | 9 | 9 | 12 | 58:51 | 36 | 7 | 3 | 4 | 41:26 | 24 | 2 | 6 | 8 | 17:25 | 12 |
| 12 | უიგანი | | 0:0 | 0:2 | 0:1 | 1:2 | 0:2 | 1:2 | 1:1 | 5:3 | 1:0 | | | 1:0 | 1:0 | | | 3:0 | 1:0 | 1:1 | 2:0 | 30 | 8 | 7 | 15 | 27:42 | 31 | 7 | 3 | 5 | 18:14 | 24 | 1 | 4 | 10 | 9:28 | 7 |
| 13 | მიდლსბრო | | 2:1 | 0:2 | 1:1 | 0:2 | | 0:3 | | 1:2 | 1:2 | 1:1 | 1:0 | | 2:2 | 0:1 | 2:0 | 2:2 | | 1:0 | | 30 | 7 | 10 | 13 | 27:44 | 31 | 4 | 4 | 6 | 14:19 | 16 | 3 | 6 | 7 | 13:25 | 15 |
| 14 | ნიუკასლი | 1:5 | 1:1 | | 0:3 | 3:2 | 1:4 | 0:0 | 0:2 | 0:1 | 3:1 | 3:1 | 1:0 | 1:1 | | | 2:1 | | 0:0 | | 2:2 | 30 | 7 | 8 | 15 | 31:57 | 29 | 5 | 5 | 5 | 18:24 | 20 | 2 | 3 | 10 | 13:33 | 9 |
| 15 | რედინგი | 0:2 | 1:3 | 1:2 | 3:1 | 1:0 | 0:2 | 1:2 | 2:0 | | 0:3 | | 2:1 | 1:1 | 2:1 | | | 2:1 | 0:2 | | 1:0 | 30 | 8 | 4 | 18 | 35:57 | 28 | 7 | 1 | 7 | 17:21 | 22 | 1 | 3 | 11 | 18:36 | 6 |
| 16 | ბირმინგემი | 0:1 | 2:2 | 0:1 | | | 0:2 | 1:2 | | | 0:1 | 4:1 | 3:2 | 3:0 | 1:1 | 1:1 | | 2:2 | 1:0 | 1:1 | 1:1 | 30 | 6 | 9 | 15 | 34:46 | 27 | 4 | 6 | 5 | 20:18 | 18 | 2 | 3 | 10 | 14:28 | 9 |
| 17 | სანდერლენდი | 0:4 | | 0:1 | 0:2 | 0:1 | 2:0 | 1:1 | | 1:2 | | 1:0 | 2:0 | | 1:1 | 2:1 | 2:0 | | 3:1 | 1:1 | 1:0 | 30 | 7 | 6 | 17 | 26:48 | 27 | 7 | 3 | 5 | 17:15 | 24 | 0 | 3 | 12 | 9:33 | 3 |
| 18 | ბოლტონი | 1:0 | | 0:1 | 1:3 | 1:2 | 0:1 | 1:1 | | 1:2 | | 1:1 | 4:1 | 0:0 | 1:3 | 3:0 | 3:0 | | | 0:0 | 1:0 | 30 | 6 | 7 | 17 | 28:45 | 25 | 5 | 4 | 6 | 18:15 | 19 | 1 | 3 | 11 | 10:30 | 6 |
| 19 | ფულემი | 0:3 | 0:3 | 1:2 | | 1:0 | 0:2 | 2:1 | 3:3 | 2:2 | 0:1 | 3:3 | 1:1 | 1:2 | 0:1 | 3:1 | | | 2:1 | | 0:0 | 30 | 4 | 11 | 15 | 27:49 | 23 | 4 | 5 | 7 | 19:26 | 17 | 0 | 6 | 8 | 8:23 | 6 |
| 20 | დერბი | 0:1 | | 0:2 | 1:2 | 0:2 | 2:2 | | 1:1 | 1:2 | 0:5 | 0:3 | 0:1 | 0:1 | 1:0 | | 1:2 | 0:0 | 1:1 | | | 30 | 1 | 7 | 22 | 14:64 | 10 | 1 | 4 | 10 | 8:25 | 7 | 0 | 3 | 12 | 6:39 | 3 |



# ფაბრიციო კოლოჩინის მომავალი ბარსელონაა

**არგენტინის** ნაკრებისა და გალისიური „დეპორტივოს" მცველი ფაბრიციო კოლოჩინი, შესაძლოა, სამომავალსეზონოდ „ბარსელონაში" აღმოჩნდეს. ფეხბურთელის წარმომადგენელი მარსელო ლომბილია კატალონიელებთან მოლაპარაკებას მართავს და კოლოჩინისთან წინასწარი შეთანხმების ამბავიც ალბათ მალე გახმაურდება.

დაინტერესებული მხარეები სატრანსფერო ოპერაციას, სავარაუდოდ, 10 მილიონი ევროს ფასად მოაგვარებენ. ზუსტად ეს თანხა მოსთხოვა „დეპორტივოს" პრეზიდენტმა აუგუსტო სესარ ლენდოირომ „სარაგოსას", როცა არაგონელებმა მიმდინარე სეზონის დაწყებამდე კოლოჩინის ყიდვის თაობაზე მიმართეს. მაშინ „სარაგოსა" „დეპორს" არგენტინელში 6 მილიონს სთავაზობდა, თუმცა რაჩან ლენდოირომ იცოდა, რომ არაგონელები ფულის ნაკლებობას არ განიცდიდნენ (გაბი მილიტო ის-ისაა, გაასხვისეს „ბარსელონაში"), ფაბრიციო კოლოჩინი 10 მილიონი დააფასა. „სარაგოსას" ეს არ მოეწონა და მოლაპარაკებაც ჩაიშალა, თუმცა „დეპორტივოს" პრეზიდენტმა კულულებიან არგენტინელს აღუთქვა, რომ 2008-09 წლების სეზონში მას 10 მილიონ ევროდ სხვა გუნდში გადასვლა შეეძლო.

კოლოჩინიმ „რიასორზე" კონტრაქტით კიდევ სამი წელი უნდა ითამაშოს, მაგრამ არგენტინელმა „ჰაერის გამოცვლა" უკვე მტკიცედ გადაწყვიტა. ფაბრიციო მიიჩნევს, რომ „დეპორტივოს" ერთგულად ემსახურა და ახლა ბედი უფრო მაღალი დონის კლუბში უნდა სცადოს. ამიტომაც ჩნდება ხოლმე მარსელო ლომბილია ხშირ-ხშირად „კამპ ნოუს" ოფისებში — აგენტს ფეხბურთელისგან დავალებული აქვს, რაც შეიძლება, მალე მოაგვაროს საქმე.

ჩიკი ბეგირისტაინი, კატალონიური გრანდის სპორტული დირექტორი კი აცხადებს, რომ კოლოჩინის გუნდში მიღებაზე უარს არავინ იტყვის, თუმცა ჯერ ლენდოირის ხიბლ[illegible] ვების სიმართლეში უნდა დარწმუნდნენ. მთავარია, „დეპორტივოს" პრეზიდენტმა დანაპირები არ გადათქვას და არგენტინელში ასტრონომიული თანხა არ მოითხოვოს.

**ლადო ხომერიკი**

## გერმანია

# ფარმაცევტების საიდუმლოს რეცეპტი

| XXV ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინწინ** | | |
| აინტრახტი 2:1 კოტბუსი | | |
| 0:1 როსტი (48), 1:1 კაიო (59), 2:1 რუსი (65) | | |
| **აინტრახტი:** ნიკოლოვი, პ. ოხსი, რუსი, გალინდო, შპიხერი, ინამოტო (კაიო 46), მ. ფინკი, კოლერი, ვაისენბერგერი (ტოსკი 66), ფენინი, ამანატიდისი (მანციოსი 90) | | |
| მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი | | |
| **კოტბუსი:** ტრემელი, ს. ანგელოვი, რადელჯიჩი, ცვიტანოვიჩი, ციბიგი, ბასილა, ტ. როსტი, რივიჩი (ვასილიევიჩი 75), შკელა, დ. სორენსენი (შაო 69), ბ. იელიჩი (პაპადოპულოსი 61) | | |
| მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი | | |
| გაფრთხილება: ცვიტანოვიჩი, რივიჩი | | |
| მსაჯი: კემპტერი | | |
| 45 100 მაყურებელი | | |
| **დღეს** | | |
| ბაიერნი | : | ლევერკუზენი |
| ვოლფსბურგი | : | ჰამბურგი |
| ნიურნბერგი | : | ბოხუმი |
| დუისბურგი | : | ჰანოვერი |
| დორტმუნდი | : | კარლსრუე |
| შტუტგარტი | : | ჰანზა |
| **ხვალ** | | |
| ჰერტა | : | შალკე |
| არმინია | : | ვერდერი |

**ტური** ხუთშაბათს „აინტრახტისა" და „კოტბუსის" მატჩით დაიწყო. გასულ უქმეებზე ლიდერ „ბაიერნთან" სენსაციურად მომგებმა კოტბუსელებმა ფრანკფურტში მეორე ტაიმის დასაწყისში ტიმო როსტის შორეული დარტყმით შეძლეს დაწინაურება, მაგრამ...

„აინტრახტის" ბრაზილიელმა კაიომ ჯერ თავად გაიტანა, ხოლო მერე მარკო რუსს გაატანინა. კოტბუსელმა მიხალ კაპადოპულოსმა ბურთი ხარიხას კი გაარტყა, მაგრამ ალარაფერი შეცვლილა — 2:1.

ტურის მთავარი მატჩი კი დღეს არის, „ბაიერნი" „ლევერკუზენს" მასპინძლობს და თუ „ფარმაცევტებს" ჩემპიონობისთვის გაბრძოლება აზრად მაინც აქვთ, „ალიანს-არენადან" ქულა მაინც უნდა წაიღონ. „ლევერკუზენს" მიუნხენელთათვის ბუნდესლიგაში 1989 წლის მერე არ მოუგია.

„რა არის ჩვენი საიდუმლო? ახალგაზრდა და გამოცდილი მოთამაშეების საუცხოო სინთეზი, მწვრთნელი მიხაელ სკიბე, რომელიც გუნდს ფანების მოსაწონი სტილით ათამაშებს და თავდაუზოგავი შრომა. თუმცა დღეს მთავარია, ღრუბლებიდან მიწაზე დავეშვათ და კონცენტრაცია არ დავკარგოთ, რადგან ყველაფერი შეიძლება წამში შეიცვალოს. მიჯრით ორჯერ რომ წავაგოთ, მეექვსე ადგილამდეც კი დავქვეითდებით. მზად არ ვართ იმისთვის, რომ „ბაიერნს" ჩემპიონობისთვის შევებრძოლოთ. ჩვენი მიზანია მომავალი სეზონისთვის რომელიმე ევროტურნირის საგზურის მოპოვება" — თქვა „ფარმაცევტების" სპორტულმა დირექტორმა რუდი ფიოლერმა.

შემადგენლობასთან სერიოზული პრობლემა არც ერთ გუნდს არ აქვს. „ბაიერნს" კრისტიან ლელი არ ეყოლება დისკვალიფიკაციის გამო.

მეორეადგილოსან „ჰამბურგს" მძიმე გასვლა ელის ვოლფსბურგში. ორივე მხრიდან ერთ-ორ უმნიშვნელო დანაკლისს თუ არ ჩავთვლით, შემადგენლობები საბრძოლოა.

ჩვენებური ალექსანდრე იაშვილის „კარლსრუე", სავარაუდოდ, მასიმილიან პორჩელოსა და ჯოშუა კენედის გარეშე შეეგებიან „დორტმუნდს", რომელსაც ასევე აკლია რამდენიმე მოთამაშე.

„შტუტგარტი" სამ ქულას ელის „ჰანზასთან" საშინაო მატჩში. „დუისბურგთან" ერთად, ცხრილის ფსკერზე დალექილი „ნიურნბერგი" კი „ბოხუმთან" საშინაო შეხვედრაში რვათამაშიანი მოუგებელი სერიის შეწყვეტას აპირებს.

საინტერესო მატჩებია ხვალაც. პირველში „ჰერტა" ლევან კობიაშვილის „შალკეს" დაუხვდება. შესაძლოა, მასპინძლებმა მარკო პანტელიჩი და ლუსიო ვერ დაიხმარონ, გელზენკირხენელებს კი ზე რობერტო და ხალიდ ბაირამოვიჩი აკლიათ.

მიჯრით ორი წაგების მქონე „ვერდერი" გასავარდნ ზონაში მყოფ „არმინიას" სტუმრობს, რომელსაც პირველ წრეში 8:1 მოუგო. ბილეფელდელი რამდენიმე ფეხბურთელს მოისაკლისებენ, ბრემენელებს კი პერ მერტესაკერი ჰყავთ დისკვალიფიცირებული, დანიელ იენსენის თამაში საეჭვოა.

**კოკი კანდელაკი**



ფრანკფურტელი კაიო გოლს ზეიმობს

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 1:1 | | 1:1 | 1:1 | 0:0 | | 2:1 | 2:0 | 3:0 | | | | 3:0 | 5:0 | | 3:0 | 0:0 | 24 | 14 | 8 | 2 | 41:13 | 50 | 6 | 5 | 0 | 21:4 | 23 | 8 | 3 | 2 | 20:9 | 27 |
| 2 | ჰამბურგი | 1:1 | | 1:0 | | | 4:1 | 4:1 | 2:2 | | 1:1 | 2:1 | 3:0 | 1:0 | 2:0 | 0:0 | | 1:0 | | 24 | 12 | 9 | 3 | 35:17 | 45 | 8 | 4 | 0 | 22:7 | 28 | 4 | 5 | 3 | 13:10 | 17 |
| 3 | ლევერკუზენი | 0:1 | 1:1 | | | 1:0 | | | | 3:0 | 2:0 | | 2:0 | 2:2 | 3:0 | 0:0 | 4:0 | 4:1 | 4:1 | 24 | 13 | 5 | 6 | 45:24 | 44 | 8 | 3 | 1 | 26:6 | 27 | 5 | 2 | 5 | 19:18 | 17 |
| 4 | ვერდერი | 0:4 | 2:1 | 5:2 | | | 2:1 | 4:1 | 0:1 | 4:0 | | 3:2 | 1:2 | 2:0 | 1:0 | | 8:1 | 2:0 | | 24 | 13 | 4 | 7 | 51:35 | 43 | 10 | 0 | 3 | 34:15 | 30 | 3 | 4 | 4 | 17:20 | 13 |
| 5 | შალკე | 0:1 | 1:1 | 1:1 | 1:1 | | | 4:1 | 1:2 | 0:2 | | 1:0 | 1:0 | 4:1 | | | 3:0 | 2:1 | 2:1 | 24 | 11 | 8 | 5 | 38:25 | 41 | 7 | 3 | 3 | 21:12 | 24 | 4 | 5 | 2 | 17:13 | 17 |
| 6 | აინტრახტი | | 2:1 | 2:1 | 1:0 | 2:2 | | 1:4 | | 0:1 | 0:0 | 1:0 | 1:1 | | 1:0 | 2:1 | 2:1 | | | 25 | 10 | 9 | 6 | 30:31 | 39 | 7 | 3 | 2 | 15:12 | 24 | 3 | 6 | 4 | 15:19 | 15 |
| 7 | შტუტგარტი | 3:1 | | 1:0 | 6:3 | 2:2 | | | 3:1 | 3:1 | 0:2 | 1:3 | 1:0 | 1:2 | | 3:0 | | | 1:0 | 24 | 12 | 2 | 10 | 40:39 | 38 | 8 | 1 | 3 | 25:15 | 25 | 4 | 1 | 7 | 15:24 | 13 |
| 8 | ვოლფსბურგი | | | 1:2 | 1:1 | 1:1 | 2:2 | | | 1:2 | | 0:0 | | 4:0 | 1:0 | 3:0 | 1:3 | 3:1 | 2:1 | 24 | 10 | 6 | 8 | 40:35 | 36 | 5 | 4 | 3 | 20:13 | 19 | 5 | 2 | 5 | 20:22 | 17 |
| 9 | კარლსრუე | 1:4 | 1:1 | 2:2 | | | 0:1 | 1:0 | 3:1 | | 1:2 | 2:1 | | 3:1 | | | 0:0 | 2:0 | 1:0 | 24 | 10 | 6 | 8 | 29:32 | 36 | 6 | 3 | 3 | 17:13 | 21 | 4 | 3 | 5 | 12:19 | 15 |
| 10 | ჰანოვერი | 0:3 | 0:1 | 0:3 | 4:3 | 2:3 | | | 2:2 | 2:2 | | | 3:2 | 2:1 | | | 2:2 | 2:1 | 2:1 | 24 | 9 | 6 | 9 | 35:41 | 33 | 5 | 3 | 4 | 21:24 | 18 | 4 | 3 | 5 | 14:17 | 15 |
| 11 | ჰერტა | 0:0 | | 0:3 | | | 0:3 | 3:1 | 2:1 | | 1:0 | | 2:0 | 3:2 | 1:3 | 0:0 | 1:0 | | 2:0 | 24 | 9 | 5 | 10 | 26:29 | 32 | 7 | 2 | 3 | 15:13 | 23 | 2 | 3 | 7 | 11:16 | 9 |
| 12 | ბოხუმი | 1:2 | 2:1 | 2:0 | 2:2 | | 0:0 | 1:1 | 5:3 | 2:2 | 2:1 | | | | | 3:3 | 3:0 | 3:3 | | 24 | 8 | 7 | 9 | 36:37 | 31 | 5 | 6 | 1 | 26:18 | 21 | 3 | 1 | 8 | 10:19 | 10 |
| 13 | დორტმუნდი | 0:0 | 0:3 | | 3:0 | 2:3 | 1:1 | | | | | 1:1 | 2:1 | | 1:0 | 3:0 | 6:1 | | 1:3 | 24 | 8 | 5 | 11 | 35:40 | 29 | 5 | 3 | 3 | 20:13 | 18 | 3 | 2 | 8 | 15:27 | 11 |
| 14 | ჰანზა | 1:2 | | | | 1:1 | 1:0 | 2:1 | | 0:0 | 0:3 | 0:0 | 2:0 | 0:1 | | 3:2 | 1:1 | 1:2 | 2:0 | 24 | 6 | 6 | 12 | 21:32 | 24 | 5 | 4 | 4 | 14:13 | 19 | 1 | 2 | 8 | 7:19 | 5 |
| 15 | კოტბუსი | 2:0 | | 2:3 | 0:2 | 1:0 | 2:2 | 0:1 | 1:2 | 2:0 | 5:1 | | 1:2 | 0:2 | | | | 1:1 | 1:2 | 25 | 4 | 8 | 13 | 26:42 | 20 | 4 | 2 | 7 | 18:18 | 14 | 0 | 6 | 6 | 8:24 | 6 |
| 16 | არმინია | 0:1 | 0:1 | | | 0:2 | 2:2 | 2:0 | 0:1 | | 0:2 | 2:0 | | | 4:2 | 1:1 | | 3:1 | 0:2 | 24 | 5 | 5 | 14 | 23:49 | 20 | 4 | 2 | 6 | 14:15 | 14 | 1 | 3 | 8 | 9:34 | 6 |
| 17 | ნიურნბერგი | | 0:0 | 1:2 | 0:1 | | 5:1 | 0:1 | | 0:2 | 2:2 | 2:1 | | 2:0 | 1:1 | 1:1 | | | | 24 | 4 | 6 | 14 | 25:40 | 18 | 3 | 4 | 4 | 14:12 | 13 | 1 | 2 | 10 | 11:28 | 5 |
| 18 | დუისბურგი | | 0:1 | | 1:3 | 0:2 | 0:1 | 2:3 | 1:3 | | | 1:2 | 0:2 | 3:3 | 1:1 | | 3:0 | 1:0 | | 24 | 5 | 3 | 16 | 24:39 | 18 | 2 | 2 | 8 | 13:21 | 8 | 3 | 1 | 8 | 11:18 | 10 |

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XXV ტური

აუგსბურგი 0:1 პადერბორნი

ლაუტერნი 1:1 ოფენბახი

ზანკტ პაული 2:1 ოსნაბრიუკი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გლადბახი | 24 | 13 | 8 | 3 | 46:26 | 47 |
| ჰოფენჰაიმი | 24 | 12 | 7 | 5 | 38:29 | 43 |
| მაინცი | 24 | 11 | 8 | 5 | 39:23 | 41 |
| ფიურტი | 24 | 11 | 7 | 6 | 41:29 | 40 |
| კიოლნი | 24 | 11 | 6 | 7 | 41:31 | 39 |
| ფრაიბურგი | 24 | 10 | 9 | 5 | 33:27 | 39 |
| ვეჰენი | 24 | 9 | 9 | 6 | 38:35 | 36 |
| მიუნხენი | 24 | 8 | 11 | 5 | 32:24 | 35 |
| კობლენცი | 24 | 8 | 9 | 7 | 29:31 | 33 |
| ალემანია | 24 | 8 | 8 | 8 | 34:36 | 32 |
| აუგსბურგი | 25 | 8 | 6 | 11 | 31:35 | 30 |
| ზანქტ პაული | 25 | 7 | 9 | 9 | 30:35 | 30 |
| ოფენბახი | 25 | 7 | 9 | 9 | 29:41 | 30 |
| ოსნაბრიუკი | 25 | 7 | 7 | 11 | 33:45 | 28 |
| ლაუტერნი | 25 | 5 | 10 | 10 | 25:28 | 25 |
| აუე | 24 | 6 | 4 | 14 | 30:40 | 22 |
| პადერბორნი | 25 | 3 | 10 | 12 | 16:34 | 19 |
| კარლ ცაისი | 24 | 3 | 7 | 14 | 33:49 | 16 |

## პოლონეთი

I ლიგა

XXII ტური

სოსნოვეცი 1:3 ლოძი

ბელხატუვი 0:3 ლეხი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 21 | 18 | 3 | 0 | 50:11 | 57 |
| გროცლინი | 21 | 14 | 2 | 5 | 39:19 | 44 |
| ლეგია | 21 | 14 | 1 | 6 | 34:11 | 43 |
| ლეხი | 22 | 12 | 5 | 5 | 37:23 | 41 |
| კორონა | 21 | 11 | 3 | 7 | 27:26 | 36 |
| ზაგლებე | 21 | 9 | 6 | 6 | 27:22 | 33 |
| გურნიკი | 21 | 8 | 3 | 10 | 27:32 | 27 |
| ბელხატუვი | 22 | 7 | 6 | 9 | 20:27 | 27 |
| იაგელონია | 21 | 7 | 6 | 8 | 20:31 | 27 |
| რუხი | 21 | 6 | 7 | 8 | 25:29 | 25 |
| ოდრა | 21 | 7 | 4 | 10 | 21:28 | 25 |
| კრაკოვია | 21 | 7 | 3 | 11 | 17:22 | 24 |
| ვიძევი | 21 | 3 | 10 | 8 | 20:28 | 19 |
| პოლონია | 21 | 5 | 3 | 13 | 11:34 | 18 |
| ლოძი | 22 | 3 | 7 | 12 | 13:20 | 16 |
| სოსნოვეცი | 22 | 3 | 3 | 16 | 17:42 | 12 |

## დანია

სუპერლიგა

XX ტური

ჰორსენსი — ოლბორგი 1:2; ესბიერგი — კოპენჰაგენი 2:1; ორჰუსი — რანდერსი 0:0; ვიბორგი — ნორდსიელანდი 2:3; ბრონდბიუ — მიდტიულანდი 2:1. ლიუნგბიუ — ოდენსე გადაიდო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლბორგი | 20 | 12 | 4 | 4 | 39:29 | 40 |
| კოპენჰაგენი | 20 | 10 | 7 | 3 | 28:14 | 37 |
| მიდტიულანდი | 20 | 9 | 5 | 6 | 28:24 | 32 |
| ჰორსენსი | 20 | 8 | 7 | 5 | 28:26 | 31 |
| ოდენსე | 19 | 6 | 11 | 2 | 28:16 | 29 |
| ესბიერგი | 20 | 8 | 4 | 8 | 41:34 | 28 |
| ნორდსიელანდი | 20 | 7 | 7 | 6 | 31:28 | 28 |
| რანდერსი | 20 | 7 | 6 | 7 | 26:18 | 27 |
| ბრონდბიუ | 20 | 7 | 6 | 7 | 28:28 | 27 |
| ორჰუსი | 20 | 5 | 5 | 10 | 20:28 | 20 |
| ვიბორგი | 20 | 4 | 2 | 14 | 17:43 | 14 |
| ლიუნგბიუ | 19 | 2 | 4 | 13 | 19:45 | 10 |

## ლიბერტადორესის თასი 2008

II ჯგუფი. IV ტური

დეპორტივო კუენსა 1:1 ლანუსი

0:1 სალომონი (8), 1:1 ხ. ფიგეროა (71)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესტუდიანტესი (არგენტინა) | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| ლანუსი (არგენტინა) | 4 | 1 | 3 | 0 | 4:2 | 6 |
| დეპორტივო კუენსა (ეკვადორი) | 4 | 1 | 3 | 0 | 2:1 | 6 |
| დანუბიო (ურუგვაი) | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |

III ჯგუფი. III ტური

კოლო კოლო 2:0 ბოკა ხუნიორსი

1:0 ხორკერა (3), 2:0 ბისკაიზაკუ (35)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლასი (მექსიკა) | 3 | 2 | 0 | 1 | 6:3 | 6 |
| კოლო კოლო (ჩილე) | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| მარაკაიბო (ვენესუელა) | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

VII ჯგუფი. III ტური

სპორტივო ლუკენო 1:1 სან პაულუ

0:1 ალონსიო (60), 1:1 დუარტე (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სან პაულუ (ბრაზილია) | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ატლეტიკო ნასიონალი (კოლუმბია) | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| სპორტივო ლუკენო (პარაგვაი) | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| აუდაქს იტალიანო (ჩილე) | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |

XXX ტური

დღეს

სამპდორია : კალიარი
ატალანტა : კატანია
რომა : ემპოლი
პალერმო : ჯენოა
ინტერი : იუვენტუსი
ფიორენტინა : ლაციო
უდინეზე : ლივორნო
ტორინო : მილანი
რეჯინა : ნაპოლი
სიენა : პარმა

# იტალია

# იტალიის დერბისგან ბევრ გოლს ელიან

„დერბი დიტალია“ მიმდინარე სეზონში უკვე სამჯერ ვიხილეთ. აქედან ორჯერ — იტალიის თასზე: მილანში მატჩი 2:2 დასრულდა, ტურინში კი „ინტერმა“ 3:2 იმარჯვა. ხოლო სერია A-ს პირველ წრეში მათი დუელი 1:1 დამთავრდა. როგორც ხედავთ, ამ სამ შეხვედრაში 11 გოლი გავიდა და ალბათ ამჯერადაც უხვგოლიან მატჩს უნდა ველოდოთ.

„ინტერს“ არ ეყოლება ოლივიე დაკური, ვალტერ სამუელი, ივან კორდობა და პელე. „ბებერი ქალბატონი“ კი კრისტიანო ძანეტის, მარკო მარკიონისა და ჟორჟე ანდრადეს მოისაკლისებს.

„ცხადია, წინა ტურში „ემპოლისთან“ ჩვენი თამაშით და ფრით კმაყოფილნი არ ვართ, მაგრამ ქულა სულ არაფერს მაინც სჯობს. ახლა მთელი ყურადღება „ინტერთან“ მატჩზე გვაქვს გადატანილი“ — თქვა „იუვენტუსის“ მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ.

„მილანში მოსაგებად ვითამაშებთ, დასაკარგი არაფერი გვაქვს. ჩვენსა და „ინტერს“ შორის ყოველთვის დიდი კონკურენცია იყო, განსაკუთრებით ახლა, კალჩოპოლის სკანდალის მერე. გვინდა, მოვიგოთ და ფანებს დიდი საჩუქარი გავუკეთოთ, თან ნამდვილად მირჩევნია, სკუდეტო „რომამ“ მოიგოს, ვიდრე „ინტერმა“. ბოლო პერიოდში ცუდად ვთამაშობ, რვა მატჩში მხოლოდ ერთი გოლი მაქვს გატანილი და გუნდიც არასასურველ ფორმაშია, მაგრამ მთლიანობაში ბრწყინვალე სეზონი გვაქვს და იგი წარმატებულად უნდა დავაგვირგვინოთ“ — აღნიშნა ტურინელთა ფრანგმა ფორვარდმა დავიდ ტრეზეგემ.

„ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატი: „ჯენოასთან“ მატჩში პეპეს გაძევებით ძალიან გაბრაზებული ვარ. ეს ძალიან უსამართლო გადაწყვეტილება იყო. მსაჯს შეუძლია, ის გააკეთოს, რაც უნდა, მერე კი თქვას, სწორი გადაწყვეტილება მივიღეო, მე კი გადაჭრით ვამბობ, რომ ეს საშინელი შეცდომა იყო, რომელმაც დაგვაზარალა. ახლა მთავარია, „იუვენტუსს“ მოვუგოთ. „რომასთან“ სხვაობა 7 ქულამდე კი გაიზარდა, მაგრამ ბევრი არაფერი შეცვლილა, სეზონის ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ მიჯრით მესამე სკუდეტოსთვის“.

„რომა“ „იუვენტუსის“ ყოჩაღობის იმედზე იქნება, თავად კი აუტსაიდერ „ემპოლის“ აუცილებლად უნდა მოუგოს, თორემ წაგებული რომაული დერბის მერე, ისედაც ცუდ ხასიათზეა.

„გლადიატორებს“ ფილიპ მექსესი და ალბერტო აკვილანი დააკლდებიან. ტოსკანელებს კი ლუკა საუდატის, ნიკოლა პოცის, ანდრეა რაგის, ფრანჩესკო პრატალისა და ჩვენებური ლევან მჭედლიძის გარეშე მოუწევთ ფონს გასვლა.

ლამაზი მატჩი უნდა გამოვიდეს „არტემიო ფრანკიზე“, სადაც „ფიორენტინა“ „ლაციოს“ მასპინძლობს. შარშან ამ დროს ეს კლუბები ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ებრძოდნენ, ახლა რომაელებს ალბათ უეფას თასზე მოხვედრაც კი არ გამოუვათ, მაგრამ ამჟამად ჩინებულ ფორმაში არიან და მეოთხეადგილოსან „იებს“ არაფერს დაუთმობენ.

მარტინ იორგენსენს, კრისტიან ვიერის, ფრანკო სემიოლის, ალბერტო სანტანასა და ალესანდრო გამბერინის ისევ მცირე ტრავმები აწუხებთ და მათი მინდორზე გასვლა სათუოა. „ლაციოს“ ლუჩანო ძაური, მობიდო დიახიტე, სიმონე დელ ნერო და ფაბიო ფირმანი აკლია.

„ფიორენტინასთან“ უკანასკნელი ხუთი სტუმრობიდან ბოლო, „ლაციომ“ 0:1 წააგო, მაგრამ წინა ოთხი რომაელებს მოგებული აქვთ.

მძიმედაა „მილანის“ საქმე, რომელსაც სამი ქულა ჰაერივით სჭირდება, მაგრამ ტურინში სტუმრობა „როსონერის“ ყოველთვის უჭირდა. „ტორინო“ კი ამ შეხვედრაში სულ მცირე ქულისთვის ითამაშებს.

„ტორინოს“ ნიკოლა ლაზეტიჩის, პაოლო ძანეტისა და მარკო პიზანოს გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. ვეტერანი ჯანლუკა კომოტო კი ტურინელებს სეზონის ბოლომდე აღარ ეყოლებათ, მან მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო. „მილანის“ დანაკლისი კი, წინასწარი ინფორმაციით, ბევრად დიდია — კაკა, ფილიპო ინძაგი, სერჟინიო, კაფუ და რონალდო.

„როსონერის“ თავკაცი კარლო ანჩელოტი: „სამპდორიასთან“ ძალიან ცუდად ვითამაშეთ. დებიუტშივე ორი უხეში შეცდომა დავუშვით და დავისაჯეთ. კლუბში სერიოზული პრობლემებია, ამას არ ველოდი, გადაღლილებიც ვართ. სეზონის ბოლოს ყველაფერს გავაანალიზებთ და ხარვეზებს გამოვასწორებთ. თუმცა ახლა მთავარია, ჩემპიონატი მაქსიმალურად კარგად ჩავამთავროთ, ქულების დაკარგვის უფლება აღარ გვაქვს. „ტორინოსთან“ ძალიან რთული მატჩი გველის, მაგრამ მოსაგებად ყველაფერს გავაკეთებთ“.




ოთხეულის სიახლოვეს მყოფი „სამპდორია“ და „უდინეზე“ გადარჩენისთვის მებრძოლებს, შესაბამისად, „კალიარისა“ და „ლივორნოს“ მასპინძლობენ.

წინა ტურში „პარმასთან“ მარცხის მერე, „პალერმოს“ ექსცენტრიული პრეზიდენტი მაურიციო ძამპარინი სულ გადაირია და პრესაში უკვე ალაპარაკდნენ, ფრანჩესკო გვიდოლინის კიდევ ერთხელ მოხსნასა და სიცილიელთა მთავარი მწვრთნელის პოსტზე სტეფანო კოლანტუონოს დაბრუნებას. ამბობენ, რომ, თუ „პალერმო“ შინ „ჯენოას“ ვერ მოუგებს, ვინ იცის, ამჯერად რას მოიმოქმედებს და რას იტყვის ძამპარინი.

**გიორგი კაკაბაძე**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინტერი | | 1:1 | | | 2:1 | 3:0 | 1:1 | 2:1 | 3:0 | 2:1 | 2:1 | 4:1 | | 4:0 | 3:2 | 2:0 | 2:0 | | 2:0 | 1:0 | 29 | 20 | 8 | 1 | 55:18 | 68 | 13 | 2 | 0 | 34:9 | 41 | 7 | 6 | 1 | 21:9 | 27 |
| 2 | რომა | 1:4 | | 2:2 | 1:0 | 2:1 | 2:0 | 2:1 | | 3:2 | 4:4 | 1:0 | | 3:0 | | 4:0 | 2:0 | | 2:0 | 2:0 | | 29 | 18 | 7 | 4 | 52:28 | 61 | 11 | 2 | 1 | 31:14 | 35 | 7 | 5 | 3 | 21:14 | 26 |
| 3 | იუვენტუსი | 1:1 | 1:0 | | 2:3 | | 0:0 | 0:1 | 1:0 | | 1:0 | 5:0 | 1:0 | 2:0 | 0:0 | | | 5:1 | 1:1 | 4:0 | 3:0 | 29 | 15 | 10 | 4 | 49:24 | 55 | 9 | 4 | 2 | 27:7 | 31 | 6 | 6 | 2 | 22:17 | 24 |
| 4 | ფიორენტინა | 0:2 | 2:2 | 1:1 | | 0:1 | | 1:2 | 2:2 | | 1:0 | | 3:1 | 3:0 | 2:1 | | 2:1 | 1:0 | 5:1 | | 3:1 | 29 | 14 | 8 | 7 | 43:29 | 50 | 8 | 3 | 3 | 26:15 | 27 | 6 | 5 | 4 | 17:14 | 23 |
| 5 | მილანი | | 0:1 | 0:0 | 1:1 | | 1:2 | | | 1:1 | 5:2 | 2:1 | 2:0 | 1:0 | 0:0 | 1:1 | 1:1 | 1:1 | | | 0:1 | 29 | 12 | 10 | 7 | 43:25 | 46 | 4 | 7 | 3 | 16:12 | 19 | 8 | 3 | 4 | 27:13 | 27 |
| 6 | სამპდორია | 1:1 | | | 2:2 | 0:5 | | | 3:0 | 0:0 | 2:0 | 3:0 | 0:0 | 1:0 | 2:2 | 3:0 | 3:1 | | | 3:0 | 3:0 | 29 | 13 | 6 | 10 | 41:36 | 45 | 8 | 5 | 1 | 26:11 | 29 | 5 | 1 | 9 | 15:25 | 16 |
| 7 | უდინეზე | 0:0 | | 1:2 | | 0:1 | 3:2 | | 2:0 | 2:2 | 0:5 | 1:1 | 3:5 | 2:0 | 2:1 | 2:1 | | | | 2:0 | 2:2 | 29 | 12 | 8 | 9 | 37:38 | 44 | 6 | 4 | 4 | 22:22 | 22 | 6 | 4 | 5 | 15:16 | 22 |
| 8 | ატალანტა | | 1:2 | | 2:2 | 2:1 | 4:1 | 0:0 | | 2:1 | 5:1 | 1:3 | | 2:2 | 2:2 | 2:0 | | | 2:2 | 2:2 | 4:1 | 29 | 9 | 10 | 10 | 44:43 | 37 | 6 | 6 | 2 | 31:20 | 24 | 3 | 4 | 8 | 13:23 | 13 |
| 9 | ლაციო | | 3:2 | 2:3 | 0:1 | 1:5 | 2:1 | 0:1 | 3:0 | | | | 1:2 | | 2:2 | 1:0 | 2:0 | 2:0 | 3:1 | 1:0 | 0:0 | 29 | 9 | 10 | 10 | 36:37 | 37 | 8 | 2 | 5 | 23:18 | 26 | 1 | 8 | 5 | 13:19 | 11 |
| 10 | ნაპოლი | 1:0 | 0:2 | 3:1 | 2:0 | | 2:0 | 3:1 | | 2:2 | | | 1:2 | | 1:1 | 1:0 | 2:0 | 1:0 | 0:2 | 1:1 | 1:3 | 29 | 10 | 6 | 13 | 39:43 | 36 | 8 | 3 | 4 | 21:15 | 27 | 2 | 3 | 9 | 18:28 | 9 |
| 11 | პალერმო | 0:0 | 0:2 | | 2:0 | 2:1 | | 1:1 | | 2:2 | 2:1 | | | 2:3 | 1:1 | 1:1 | | 1:0 | 2:1 | 1:1 | 2:0 | 29 | 9 | 9 | 11 | 37:45 | 36 | 6 | 6 | 2 | 19:14 | 24 | 3 | 3 | 9 | 18:31 | 12 |
| 12 | ჯენოა | 1:1 | 0:1 | 0:2 | 0:0 | 0:3 | 0:1 | 3:2 | 2:1 | | 2:0 | 3:3 | | 1:3 | | 1:0 | 2:1 | 1:1 | 2:0 | | | 29 | 9 | 9 | 11 | 33:41 | 36 | 6 | 4 | 5 | 18:19 | 22 | 3 | 5 | 6 | 15:22 | 14 |
| 13 | სიენა | 2:3 | 3:0 | | 1:0 | 1:1 | 1:2 | | 1:1 | 1:1 | 1:1 | | | | 0:0 | | 1:1 | 2:3 | 1:0 | 0:0 | 3:0 | 29 | 7 | 11 | 11 | 31:38 | 32 | 4 | 7 | 3 | 18:13 | 19 | 3 | 4 | 8 | 13:25 | 13 |
| 14 | ტორინო | | 0:0 | 0:1 | | | 1:0 | 0:1 | 1:0 | 0:0 | | 3:1 | 1:1 | 1:1 | | 4:4 | 1:1 | 1:2 | 2:0 | 2:2 | | 29 | 5 | 16 | 8 | 30:36 | 31 | 4 | 7 | 3 | 17:14 | 19 | 1 | 9 | 5 | 13:22 | 12 |
| 15 | პარმა | | 0:3 | 2:2 | 1:2 | 0:0 | 1:2 | 2:0 | 2:3 | | | 2:1 | | 2:2 | 2:0 | | 2:2 | 3:2 | 1:1 | 3:0 | 1:0 | 29 | 6 | 11 | 12 | 35:45 | 29 | 6 | 5 | 4 | 24:20 | 23 | 0 | 6 | 8 | 11:25 | 6 |
| 16 | კატანია | 0:2 | | 1:1 | 0:1 | 1:1 | 2:0 | 2:0 | 1:2 | | | 3:1 | 0:0 | 0:0 | | 0:0 | | 1:0 | 2:1 | | 1:0 | 29 | 6 | 10 | 13 | 24:36 | 28 | 6 | 5 | 3 | 14:9 | 23 | 0 | 5 | 10 | 10:27 | 5 |
| 17 | ლივორნო | 2:2 | 1:1 | 1:3 | 0:3 | | 3:1 | 0:0 | 1:1 | 0:1 | 1:2 | 2:4 | 1:1 | | | 1:1 | 1:0 | | | 1:1 | 1:0 | 29 | 6 | 10 | 13 | 29:43 | 28 | 3 | 7 | 5 | 16:21 | 16 | 3 | 3 | 8 | 13:22 | 12 |
| 18 | კალიარი | 0:2 | | 2:3 | | 1:2 | 0:3 | 0:1 | 1:0 | 1:0 | 2:1 | 0:1 | 2:1 | 1:0 | 3:0 | 1:1 | 1:1 | 0:0 | | | | 29 | 7 | 6 | 16 | 26:45 | 27 | 6 | 3 | 6 | 15:16 | 21 | 1 | 3 | 10 | 11:29 | 6 |
| 19 | რეჯინა | 0:1 | 0:2 | 2:1 | 0:0 | 0:1 | | 1:3 | 1:1 | 1:1 | | 0:0 | 2:0 | 4:0 | 1:3 | | 3:1 | 1:3 | 2:0 | | | 29 | 5 | 11 | 13 | 26:42 | 26 | 5 | 4 | 6 | 18:17 | 19 | 0 | 7 | 7 | 8:25 | 7 |
| 20 | ემპოლი | 0:2 | 2:2 | 0:0 | 0:2 | 1:3 | | | 0:1 | 1:0 | 0:0 | 3:1 | 1:1 | 0:2 | 0:0 | | 2:0 | | 4:1 | 1:1 | | 29 | 6 | 8 | 15 | 23:41 | 26 | 4 | 6 | 5 | 15:16 | 18 | 2 | 2 | 10 | 8:25 | 8 |

## ესპანეთი

### თასის ნახევარფინალი
### საპასუხო მატჩი

**ვალენსია 3:2 ბარსელონა (1:1)**

1:0 ბარახა (17), 2:0 მატა (44), 2:1 ანრი (71), 3:1 მატა (72), 3:2 ეტოო (80)

**ვალენსია:** ჰილდებრანდი, მიგელი, ალბიოლი, მარჩენა, მორეტი, მადურო, ბარახა, მატა (კანეირა 82), ხოაკინი (არისმენდი 64), დ. სილვა (ბანეგა 75), ვილია

მწვრთნელი: რონალდ კუმანი

**ბარსელონა:** ვალდესი, ძამბროტა (ედმილსონი 81), პუიოლი, მილიტო, აბიდალი (სილვინიო 61), ტურე (ანრი 50), ხავი, გუდიონსენი, ინიესტა, კრკიჩი, ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

გაფრთხილება: ბარახა, ვილია, გუდიონსენი, სილვინიო

მსაჯი: მეხუტო გონსალესი

50 000 მაყურებელი

# მესტალიამ ბარსა გადაყლაპა

## კრიზისშია თუ არა, ლამურას ჯილდო მაინც ეკუთვნის



ინიესტას და ანრის იმედგაცრუება

**თასის** მეორე ფინალისტი „ვალენსიაა“, რომელმაც „მესტალიაზე“ „ბარსელონას“ დამარცხება შეძლო და ტურნირის გადამწყვეტ მატჩში მიქაელ ლაუდრუპის „ხეტაფესთან“ უნდა ითმოს. „ღამურებმა“ ხუთშაბათს შინაურ არენაზე საამსეზონო კრიზისი დაივიწყეს და გულშემატკივარს აჩვენეს, რომ მავანნი საპატიო ტიტულის ღირსნი ნამდვილად არიან. „ბარსელონამ“ კი კატალონიური იჩჩადა მორიგი ფიასკოთი გაამწარა. ფრანკ რაიკარდის ბანაკში საქმე ნამდვილად არ მიდის ისე, როგორც ეს „კამპ ნოუს“ გუნდის ქომაგებს გაუხარდებათ.

სათასო დაპირისპირების გარდა, მატჩს სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა — წაგების შემთხვევაში რონალდ კუმანი და ფრანკ რაიკარდი თავიანთ გუნდებში დამრიგებლობის რისკზე შეაგდებდნენ. რაიკარდთან დაკავშირებით რა მოხდება, დრო უჩვენებს, „მესტალიას“ ჯახი კი ფრიად დაძაბული გამოდგა. ბარსელონელები, როგორც სჩვევიათ, თავიდანვე იერიშებზე გადავიდნენ, „ვალენსიამ“ კი ის ტაქტიკა აირჩია, რომელმაც რამდენიმე წლის წინ „ღამურებს“ დიდი წარმატებები მოუტანა. კუმანის შეგირდები უკანა ხაზზე გამაგრდნენ და შეტევაში გართულ მეტოქეს ჩაუსაფრდნენ, რათა სტუმრები კონტრშეტევაზე დაეჭირათ.

რაიკარდის მეთოდმა არ გაამართლა. როცა შესვენების დრო მოვიდა, ტაბლოზე 2:0 ენთო მასპინძლების სასარგებლოდ. გუდიონსენი მოედანზე სტატისტად გახლდათ, წინ ბოიან კრკიჩმა და ანდრეს ინიესტამაც ვერაფრით იხეირეს, ხოლო სამუელ ეტოო ალბიოლმა და მარჩენამ შებოჭეს.

„ვალენსია“ მოედნის ცენტრს დაეპატრონა და მატამ და ვილიამაც კატალონიელთა საჯარიმოს მისადგომები მტკივნეულად დაჩხვლიტეს. ბარახამ „მესტალიაზე“ თავისი საუკეთესო პერიოდი გაიხსენა და მეჩვიდმეტე წუთზე ანგარიში გახსნა — ვიქტორ ვალდესმა მისი მძლავრი გასროლის უკუგდება ვერ შეძლო.

პირველი ტაიმის მიწურულს ვალენსიელებმა მეორე გოლიც გაიტანეს. დავიდ ვილია „ბარსას“ დაბნეულ მცველებს დაუსხლტა და მატას გადააწოდა, ამ უკანასკნელმა კი ვალდესის კარი ელეგანტურ სტილში დალაშქრა. გავეშებულ ვალენსიელებს ტაიმთაშორისმაც გული დასწყვიტა — რომ არა შესვენება, ეგებ „ბარსას“ თამაშის პირველი ნახევარი უფრო დიდი ანგარიშითაც წაეგო.

მეორე ტაიმში იაია ტურეს მაგივრად რაიკარდმა თამაშში [illegible] ანრი შეიყვანა. ამან გუნდის [illegible]ში სასიკეთო ცვლილება [illegible] ხავიმ პოზიციურად [illegible] და კატალონიელთა შეტევებიც ანდრეს ინიესტა ჩაუდგა სათავეში. „ბარსა“ გამოცოცხლდა, თუმცა ხუმრებმა არეული სიტუაციის დალაგება მაინც ვერ შეძლეს და „ვალენსიამაც“ ანგარიშში სხვაობის შემცირებას უმალ გოლითვე უპასუხა.

ანრიმ გოლი სილვინიოს შესანიშნავი პასის შემდეგ თავურით შეაგდო, თუმცა მოწინააღმდეგის [illegible] ბას მატამ ცივი წყალი ერთ წუთში გადაასხა — „ბარსელონას“ [illegible] ლებმა უკვე მერამდენეჯერ შეცდომა [illegible].

ეს რაიკარდისა და მისი გუნდისთვის უკვე კატასტროფას ნიშნავდა და სამუელ ეტოომაც თავგანწირულად იბრძოლა. გაგახსენებთ, რომ ამ გუნდების პირველ ნახევარფინალურ მატჩში „ბარსას“ სულისშემხუთველი 1:1 ხავიმ თამაშის 93-ე წუთზე სწორედ კამერუნელის აქტიურობის შემდეგ გაახერხა. „მესტალიაზე“ კი ეტოომ თავის გაიტანა, თუმცა სამუელისა და [illegible] ნიას ანგარიშის გასათანაბრებლად და ფინალში გასასვლელად უკვე ძალა აღარ ეყოთ. მატჩის დარჩენილ 10 წუთში ვალენსიელებმა [illegible] მათი იერიში წარმატებით მოიგერიეს და ფინალიც დამსახურებულად გაინაღდეს.

**ლადო ხომერიკი**

### XXIX ტური

**დღეს**

სევილია : ატლეტიკო
მალიორკა : დეპორტივო

**ხვალ**

ლევანტე : ვილიარეალი
სარაგოსა : ალმერია
ბარსელონა : ვალიადოლიდი
ოსასუნა : ბეტისი
ბილბაო : ხეტაფე
რასინგი : უელვა
მურსია : ესპანიოლი
რეალი : ვალენსია

# ესპანეთი

# ისევ საჩემპიონო მაგიური შვიდიანი

**„მალიორკას“** მწვრთნელი გრეგორიო მანსანო „დეპორტივოსთან“ მატჩში დაჯარიმებულ ბალესტეროსს, ბასინასს და იბაგასას მოისაკლისებს. ასე რომ, კუნძულელთა მწვრთნელს „ონო ესტადიზე“ ცვლილებების განხორციელება მოუწევს. „მალიორკა“ გასავარდნ ზონას ორი ქულის მანძილზე მიუახლოვდა და გადასარჩენად სიფხიზლე მართებს. „დეპორმა“ კი გასულ ტურში „რეალს“ მოუგო და სეგუნდას საფრთხეს 2 ქულით დასცილდა. მიგელ ანხელ ლოტინას ბანაკს დაჯარიმებული დე გუსმანი გამოაკლდება

„სევილია“ წლეულს ჩემპიონთა ლიგიდან „ფენერბაჰჩემ“ დაითხოვა და ანდალუზიელებსაც მთელი ყურადღება შინაურ პრიმერაზე აქვთ გადატანილი. გუნდი კარგად თამაშობს თუ ცუდად, ესპანეთში თავის საწადელს ჯერჯერობით ისრულებს, ხოლო ლუიშ ფაბიანოს ფანტასტიკური მეგოლეობა „სევილიას“ საჩემპიონთალიგო ოთხეულს ნელ-ნელა აახლოებს. დღეს სამხრეთული გუნდი „ატლეტიკოს“ უმასპინძლებს, რომელსაც, სავარაუდოდ, ლეო ფრანკო და ფაბიანო ელერი ვერ დაეხმარებიან. „სანჩეს პისხუანის“ მატჩი, ფაქტობრივად, საჩემპიონთალიგო დუელია და წესით, უაღრესად დაძაბული უნდა იყოს. მოგახსენებთ, რომ „სევილიამ“ შინაურ არენაზე მეცამეტე ტურიდან მოყოლებული, წაგების სიმწარე არ იცის.

„ვილიარეალი“ ცხრილში „ბარსელონას“ ორ ქულამდე მიუახლოვდა და თუ ბოლო დროს არეულმა კატალონიელებმა კიდევ წაიბორძიკეს, „ყვითლები“ რაიკარდის გუნდს მეორე ადგილს ჩამოართმევენ (მით უმეტეს, რომ „ვილია“ კვირას საცაოდავ „ლევანტეს“ სტუმრობს). „ყვითლების“ მწვრთნელი პელეგრინი ესპანურ ლა ლიგაში თავის რიგით მეორასე მატჩს უმწვრთნელებს.

მას შემდეგ, რაც „სარაგოსა“ ახალმა დამრიგებელმა, ვილიანოვამ ჩაიბარა, არაგონელებმა თამაშის ხარისხი გააუმჯობესეს, თუმცა ეს მათ შედეგებზე არ ასახულა. საზიფათოდ დაახლოებული „სარაგოსა“ „ალმერიას“ მასპინძლობს, რომელსაც პრიმერაში დარჩენა თითქმის განაღდებული აქვს.

„ბარსელონას“ „ვალიადოლიდთან“ მატჩში დისკვალიფიცირებული მილიტო და ინიესტა არ ეყოლება, დეკუ კი ტრავმის გამო ვერ ითამაშებს. კატალონიელებმა ჩემპიონატში „ალმერიასთან“ მოულოდნელი ფრე გააგორეს, რის გამოც ლიდერ „რეალს“ 7 ქულით ჩამორჩებიან. „ვალიადოლიდი“ ცეცხლს, ანუ გასავარდნ ზონას ელაბუცება და ბეაც ტრავმირებული ჰყავს.

ზედიზედ ოთხი მატჩია, რაც „ოსასუნას“ არ წაუგია. ნავარელთა მეტოქე გასულ კვირას „ბილბაოსთან“ მავანი ფანის ხულიგნობის გამო წაგებაჩათვლილი „ბეტისი“ გახლავთ, რომელსაც ალბათ დავიდ რივასი გამოაკლდება.

„რასინგს“ „უელვასთან“ დაჯარიმებული სერხიო სანჩესი და ტონიო დააკლდებიან, ხავიერ კლემენტეს „მურსია“ კი „ესპანიოლთან“ არსოს, დე კოსს და პაბლო გარსიას მოისაკლისებს. დისკვალიფიცირებული კაკე ბარსელონელებსაც ჰყავთ, მათგან თამაშის გამოტოვება ლოლას მოუწევს.

„რეალს“ სერხიო რამოსი და რობინიო უბრუნდებიან, თუმცა ვან ნისტელროის ტრავმა, რომლის გამოც ჰოლანდიელი ფეხბურთის თვენახევრით ჩამოსცილდა, სამეფო გუნდს უთუოდ აზარალებს. ხვალ „ბერნაბეუზე“ დიდი მატჩია. ჩემპიონატის ლიდერი კოპა დელ რეის ნახევარფინალში „ბარსას“ ახლახან დამჯაბნავ „ვალენსიას“ მასპინძლობს. „ღამურებთაგან“ მოედანზე ალბათ ალექსისი არ იქნება.

„ბილბაო“ თასის სხვა ფინალისტთან [illegible] კინალია. ბასკებს ტრავმირებული მეკარე არმანდო არ ეყოლება, „ხეტაფეს“ კი ბრაუჯიო და ჩელესტინის დაჯარიმებული წყვილი დააკლდება.

**ლადო ხომერიკი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | | 3:2 | 2:1 | | 2:1 | 3:1 | 0:1 | 3:1 | | | 4:3 | 2:0 | 3:1 | 2:0 | 2:0 | 7:0 | 2:0 | | | 28 | 20 | 2 | 6 | 59:25 | 62 | 12 | 0 | 1 | 35:11 | 36 | 8 | 2 | 5 | 24:14 | 26 |
| 2 | ბარსელონა | 0:1 | | 1:2 | 3:0 | 2:1 | | 1:0 | | 2:0 | 3:1 | | | 1:0 | 2:1 | 4:1 | 3:0 | | 3:0 | 4:0 | 5:1 | 28 | 16 | 7 | 5 | 54:25 | 55 | 12 | 0 | 2 | 34:8 | 36 | 4 | 7 | 3 | 20:17 | 19 |
| 3 | ვილიარეალი | 0:5 | 3:1 | | | 3:2 | | 0:0 | | 1:1 | 1:0 | 3:0 | 1:1 | 0:0 | 4:3 | 2:0 | 0:1 | | 1:1 | 2:0 | 3:0 | 28 | 16 | 5 | 7 | 47:36 | 53 | 8 | 5 | 2 | 24:15 | 29 | 8 | 0 | 5 | 23:21 | 24 |
| 4 | ატლეტიკო | 0:2 | 4:2 | 3:4 | | 4:3 | 1:2 | 4:0 | 1:0 | | 1:2 | 1:0 | 1:1 | 2:0 | | 4:0 | | 4:3 | | 1:1 | 3:0 | 28 | 14 | 5 | 9 | 48:32 | 47 | 9 | 2 | 4 | 34:20 | 29 | 5 | 3 | 5 | 14:12 | 18 |
| 5 | სევილია | 2:0 | 1:1 | | | | 2:3 | 4:1 | 4:1 | | | 3:0 | 1:2 | 2:1 | 0:1 | 5:0 | 3:0 | | 4:1 | 3:1 | 2:1 | 28 | 14 | 3 | 11 | 56:37 | 45 | 10 | 1 | 3 | 36:13 | 31 | 4 | 2 | 8 | 20:24 | 14 |
| 6 | ესპანიოლი | 2:1 | 1:1 | 3:0 | | 2:4 | | | 1:0 | | 2:1 | 2:0 | 2:1 | | 1:0 | | 1:2 | 0:1 | 1:2 | 0:0 | 1:0 | 28 | 13 | 6 | 9 | 40:35 | 45 | 8 | 2 | 4 | 19:13 | 26 | 5 | 4 | 5 | 21:22 | 19 |
| 7 | რასინგი | | 0:0 | 0:2 | 0:2 | | 1:1 | | 2:0 | 1:0 | 1:0 | 1:0 | 3:1 | | | 2:2 | 3:0 | 2:0 | | | 1:0 | 28 | 12 | 8 | 8 | 29:27 | 44 | 8 | 3 | 2 | 17:8 | 27 | 4 | 5 | 6 | 12:19 | 17 |
| 8 | ხეტაფე | 0:1 | 2:0 | 1:3 | | 3:2 | 0:1 | 2:1 | | | 2:0 | 0:0 | 3:3 | | 0:0 | | | 0:3 | 1:1 | 2:0 | 2:1 | 28 | 11 | 6 | 11 | 37:36 | 39 | 6 | 4 | 4 | 18:16 | 22 | 5 | 2 | 7 | 19:20 | 17 |
| 9 | ალმერია | 2:0 | 2:2 | | 0:0 | 1:0 | 1:0 | 0:1 | 0:2 | | 1:1 | 1:2 | 1:1 | 2:0 | 1:0 | 0:1 | | 1:0 | | 1:0 | | 28 | 10 | 8 | 10 | 25:27 | 38 | 7 | 4 | 4 | 14:10 | 25 | 3 | 4 | 6 | 11:17 | 13 |
| 10 | ბილბაო | 0:1 | 1:1 | 1:2 | 0:2 | 2:0 | | | | 1:1 | | | | 0:0 | 2:2 | 1:1 | 0:0 | 2:0 | 2:0 | 1:1 | 1:0 | 28 | 9 | 9 | 10 | 28:28 | 36 | 4 | 7 | 3 | 14:11 | 19 | 5 | 2 | 7 | 14:17 | 17 |
| 11 | ვალენსია | 1:5 | 0:3 | 0:3 | | 1:2 | 1:2 | | 2:1 | 0:1 | 0:3 | | | | 2:2 | | 3:1 | 2:1 | 1:1 | 3:0 | 0:0 | 28 | 10 | 6 | 12 | 31:41 | 36 | 4 | 3 | 7 | 16:25 | 15 | 6 | 3 | 5 | 15:16 | 21 |
| 12 | მალიორკა | | 0:2 | 0:1 | 1:0 | | 2:2 | | 4:2 | 0:0 | 0:0 | 0:2 | | | | | 1:1 | 4:2 | 7:1 | 1:1 | 3:0 | 28 | 7 | 13 | 8 | 45:42 | 34 | 5 | 5 | 3 | 23:14 | 20 | 2 | 8 | 5 | 22:28 | 14 |
| 13 | ოსასუნა | | 0:0 | 3:2 | 3:1 | 1:1 | 1:2 | 0:2 | 0:2 | 2:1 | 2:0 | 0:0 | 3:1 | | | 1:0 | | 2:2 | | | 4:1 | 28 | 9 | 7 | 12 | 30:32 | 34 | 7 | 4 | 3 | 22:15 | 25 | 2 | 3 | 9 | 8:17 | 9 |
| 14 | დეპორტივო | 1:0 | | | 0:3 | 2:1 | 2:0 | 0:1 | 1:1 | 0:3 | | 2:4 | 1:1 | 1:2 | | 1:1 | 1:0 | 3:1 | 0:2 | | | 28 | 9 | 7 | 12 | 33:40 | 34 | 5 | 3 | 6 | 15:20 | 18 | 4 | 4 | 6 | 18:20 | 16 |
| 15 | სარაგოსა | | 1:2 | 4:1 | 2:1 | 2:0 | 3:3 | 1:1 | 1:1 | | 1:0 | 2:2 | 2:2 | 2:1 | | | | 2:3 | | 3:1 | 3:0 | 28 | 8 | 8 | 12 | 39:48 | 32 | 7 | 5 | 2 | 29:18 | 26 | 1 | 3 | 10 | 10:30 | 6 |
| 16 | ბეტისი | 2:1 | | | 0:2 | | 2:2 | 1:1 | 3:2 | 3:1 | 1:2 | 1:2 | 3:0 | 0:3 | 0:1 | 2:1 | | | 1:1 | 4:0 | | 28 | 8 | 8 | 12 | 32:41 | 32 | 6 | 3 | 5 | 23:19 | 21 | 2 | 5 | 7 | 9:22 | 11 |
| 17 | ვალიადოლიდი | 1:1 | 1:1 | 2:0 | | 0:0 | 2:1 | 0:1 | | | 1:2 | 0:2 | 1:1 | 0:0 | 2:2 | | 0:0 | | 3:1 | 1:4 | 1:0 | 28 | 8 | 8 | 12 | 32:45 | 32 | 4 | 7 | 4 | 15:16 | 19 | 4 | 1 | 8 | 17:29 | 13 |
| 18 | უელვა | 2:3 | | | 0:0 | 1:2 | 2:1 | 0:0 | 1:3 | 1:1 | | 0:1 | 0:2 | 1:0 | 3:2 | 2:1 | 1:1 | | | 4:2 | | 28 | 8 | 8 | 12 | 31:46 | 32 | 5 | 4 | 5 | 18:19 | 19 | 3 | 4 | 7 | 13:27 | 13 |
| 19 | მურსია | 1:1 | | 0:1 | 1:1 | | | 2:1 | 0:3 | 0:1 | | | | 2:0 | 0:2 | 2:1 | 0:0 | 0:1 | 1:0 | | 2:3 | 28 | 5 | 8 | 15 | 22:45 | 23 | 4 | 3 | 6 | 11:15 | 15 | 1 | 5 | 9 | 11:30 | 8 |
| 20 | ლევანტე | 0:2 | 1:4 | | 0:1 | 0:2 | | 1:1 | | 3:0 | 1:2 | | 2:2 | 2:1 | 0:1 | 2:1 | 4:3 | | 0:2 | 0:0 | | 28 | 5 | 4 | 19 | 23:53 | 19 | 4 | 3 | 7 | 16:22 | 15 | 1 | 1 | 12 | 7:31 | 4 |

სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 22 მარტი | | | | | | |
| 11237 | ქსამაქსი-ციურიხი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11238 | იანგ ბოისი-თუნი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11270 | ატალანტა-კატანია | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11271 | რომა-ემპოლი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11273 | პალერმო-ჯენოა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11274 | ინტერი-იუვენტუსი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11275 | ფიორენტინა-ლაციო | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11276 | უდინეზე-ლივორნო | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11277 | ტორინო-მილანი | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11278 | რეჯინა-ნაპოლი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11279 | სიენა-პარმა | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11321 | სევილია-ატლეტიკო | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11322 | ლევანტე-ვილიარეალი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11324 | სარაგოსა-ალმერია | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11325 | ბარსელონა-ვალიადოლიდი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11327 | ოსასუნა-ბეტისი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11328 | ბილბაო-ხეტაფე | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11329 | რასინგი-უელვა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11330 | მურსია-ესპანიოლი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11331 | მალიორკა-დეპორტივო | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11332 | რეალი-ვალენსია | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11334 | ფეროლი-ჰერკულესი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11335 | კორდობა-ალავესი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11336 | კასტელონი-სალამანკა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11337 | ეიბარი-ტენერიფე | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11338 | ეხიდო-გრანადა | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11339 | ლას პალმასი-კადისი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11340 | ელჩე-სევილია ბ | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11341 | ხერესი-მალაგა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11342 | ალბასეტე-ტარაგონა | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11343 | ნუმანსია-სელტა | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11344 | სპორტინგი-სოსიედადი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11345 | ვალენსიენი-ბორდო | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11347 | ტულუზი-ლე მანი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11348 | რენი-ლანსი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11349 | სტრასბური-ლილი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11350 | ნიცა-ლორიანი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11351 | ნანსი-მეცი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11352 | კაენი-მონაკო | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11353 | ლიონი-პსჟ | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11355 | ოსერი-სტ.ეტიენი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11356 | მარსელი-სოშო | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11359 | სედანი-ამიენი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11361 | ლე ავრი-ბულონი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11368 | შარლერუა-ლოკერენი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11369 | დენდერი-ბრიუგე | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11371 | ბრიუსელი-ბეერსხოტი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11373 | გენტი-ანდერლეხტი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11374 | რუზელარე-ვესტერლო | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11375 | სტანდარდი-მონსი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11377 | ვარეგემი-სტ.ტრუიდენი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11378 | სერკლი-მეხელენი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11390 | ჰერენვენი-როდა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11391 | ალკმაარი-გრააფსხაპი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11392 | პსვ-გრონინგენი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11393 | ექსელსიორი-უტრეხტი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11394 | სპარტა-ფეიენოორდი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11395 | ტილბურგი-ჰერაკლესი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11396 | ტვენტე-აიაქსი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11397 | ვენლო-ნაიმეგენი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11407 | აპელდორნი-იგლზი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11408 | ატრომიტოსი-ერგოტელისი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11409 | პანათინაიკოსი-ირაკლისი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11410 | ვერია-პაოკი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11411 | პანიონიოსი-ასტერას ტრიპოლისი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11412 | ოფი-ქსანთი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11413 | ლევადიაკოსი-ოლიმპიაკოსი | 11.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 1.75 |
| 11414 | კალამარია-აეკ | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11415 | არისი-ლარისა | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11416 | ისტანბული-ბეშიქთაში | 6.50 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.60 | 20.00 | 10.00 | 2.60 |
| 11418 | გაზიანთეფი-ბურსა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11419 | გალათასარაი-დენიზლი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11421 | ფენერბაჩე-კასიმპაშა | 1.45 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11423 | ტრაბზონი-კაისერი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11424 | სივასპორი-კონია | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11425 | რიზე-ანკარაგუჯუ | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11426 | ოფთასპორი-მანისა | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11427 | გენჩლერბირლიგი-ანკარა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11428 | კრილია-ცსკა | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11429 | სატურნი-ტერეკი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11430 | სპარტაკი მ-ტომსკი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11431 | შინიკი-ლოკომოტივი მ | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11432 | რუბინი-ენერგია | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11433 | ნალჩიკი-ამკარი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11434 | დინამო მ-ხიმკი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11435 | მოსკოვი-ზენიტი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |

# ბერძნების შავ-თეთრი ევროლიგა



პირეოსის „ოლიმპიაკოსმა" ჯგუფში თვით მადრიდის „რეალი" ჩატოვა

**სენსაციურად** დასრულდა ევროლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი — ბრძოლას გამოეთიშნენ მოქმედი ჩემპიონი და ოთხთა ფინალის მასპინძელი. „პანათინაიკოსი" და „რეალი" ჯგუფებში ჩარჩნენ, რასაც ალბათ ცოტა თუ იფიქრებდა.

რაც ევროლიგა ახალი ფორმატით იმართება, ერთი-ორჯერ თუ მომხდარა, რომ ოთხთა ფინალის მასპინძელ ქალაქს თავისი გუნდი არ ჰყოლოდა ნახევარფინალში. მასპინძელი მაშინ რჩებოდა გარეთ, როცა ოთხთა ფინალს ნაკლები საკალათბურთო ტრადიციების მქონე ქალაქი იღებდა — ვთქვათ, ჩეხეთის დედაქალაქი პრაღა, სადაც დასკვნითი საევროლიგო ჯახები სამი წლის წინ გაიმართა.

მადრიდელ ფანებს მოახლოებული საოთხთაფინალო განწყობა პირეოსელებმა ჩაუმუქეს. ბერძნული „ოლიმპიაკოსი" არაა ცუდი გუნდი და მეოთხედფინალში გასვლასაც იმსახურებდა, მაგრამ ალბათ არა „რეალის" ხარჯზე. ბერძნულმა გრანდმა გადამწყვეტი ბრძოლა მადრიდელებს შინ მოუგო იქაური ფანების ღრიანცელისა და მეტოქეზე არნახული ზეწოლის დახმარებით.

პირეოსის საკალათბურთო არენა მშვიდობისა და მეგობრობის სახელს ატარებს, თუმცა მადრიდელებს იქ არც მშვიდობით დახვედრიან და მეგობრულ მოპყრობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. თანაბარი მატჩის ბოლოს, როცა იონას ბუდურისმა ორი ოქროს სამქულიანი ჩაუგდო მადრიდელებს, მშვიდობის დარბაზს ლამის ჭერი ასკდა. ბუდურისის ამ ჯოჯოხეთურმა სროლებმა „რეალი" წელში გატეხა და სრულიად პირეოსს ზეიმის ფრიადი მიზეზი მისცა.

„ვულოცავ „ოლიმპაკოსს", რომელმაც ზოგადად ვერა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში კი გვაჯობა — თქვა ნამატჩევს მადრიდელთა ნირწამხდარმა თავკაცმა ხოან პლაზამ — მასპინძლებს ძალიან გაუმართლათ, როცა ბუდურისმა შორიდან ჩაგვიგდო. შეიძლებოდა, იღბალს ჩვენთვისაც გადმოეხედა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა".

„რეალმა" თავის თავს უნდა დააბრალოს ჯგუფში ჩარჩენა. სამეფო კლუბს საქმე აქამდე არ უნდა მიეყვანა — წინა ტურში „რეალმა" მადრიდში დასანანი მატჩი წააგო „მაკაბისთან" და პირეოსში ფიქრობდა საქმის გამოსწორებას. ეს კი ის ქალაქია, სადაც უეჭველი გამარჯვება არავინ არ უნდა დაგეგმოს.

არანაკლებ დიდი წვლილი მიუძღვით თავიანთი გუნდის ჯგუფიდან გაყვანაში ასეთივე გადარეულ ბელგრადელ ფანებს. სერბულ „პარტიზანს" ევროლიგაში არაფერი მოუხვეჭია, მაგრამ წლეულს ისეთ იმტაზეა, გათამაშებიდან მოქმედი ჩემპიონი „პანათინაიკოსის" გაგდებაც კი „გაბედა".

„პარტიზანს" პირველ ჯგუფურ ეტაპზე თავი დიდად არ უსახელებია და ტოპ-16-შიც საუკეთესო მეექვსე ადგილით გავიდა. თუმცა მერე აბობოქრდა და აგერ, „პანათინაიკოსიც" იმსხვერპლა.

„უზომოდ გახარებული ვარ. ეს ნამდვილი ფანტასტიკაა — მეცხრე ცაზე იყო პარტიზანელთა მწვრთნელი დუშკო ვუიოსევიჩი — მე ვერ დავივიწყებ იმ არნახულ ატმოსფეროს, რომელიც ჩვენი გუნდის ფანებმა შექმნეს დარბაზში. მათი დახმარებით ჩვენ „ტაუსთან" მეოთხედფინალში მოგების შანსიც გვაქვს".

ფანობა ვერას გახდებოდა, თავად „პარტიზანებს" რომ არ ეყოჩაღათ. ბერძნებმა საიმედოდ ამოკეტეს ბელდგრადელთა ახალგაზრდა, ჩერნოგორიელი ცენტრი ნიკოლა სპეკოვიჩი, თუმცა მხოლოდ ეს ხომ არ უშველიდა საქმეს. „პანათინაიკოსი" აიკლო ნბა-ში გამობრძმედილმა მილტ პალაციომ, რომელმაც 6 სამქულიანით გატეხა ათენელები.

და ერთი დიდი მატჩის ამბავიც. „ბარსელონამ" სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მოუგო მეოთხედფინალგანაღდებულ ცსკა-ს და ჯგუფიდან წრიაპით გაასწრო თანამემამულე „უნიკახას". მოსკოველი წითელარმიელები დანებებას არ აპირებდნენ, მოგებასთანაც ახლოიყვნენ, მაგრამ ბოლო წამზე ჯეიარ ჰოლდენმა სამქულიანი გააცუდა და კატალონიელებმა 64:62 იმარჯვეს.

მაშ ასე, რვეული გარკვეულია, რომელიც ოთხთა ფინალში გასასვლელად ერთ საპლეიოფო წრეს მოილევს. წყვილებიც ცნობილია: „პარტიზანი" — ტაუ, „სიენა" — „ფენერბაჰჩე", „მაკაბი" — „ბარსელონა" და ცსკა — „ოლიმპიაკოსი". ოთხთა ფინალის მადრიდული საგზური სერიაში 2 მატჩის მომგებ გუნდს ერგება.

**ირაკლი პერტაია**

## ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. VI ტური. 19-20 მარტი

### D ჯგუფი

**სიენა 80:67 ეფესი**

სიენა: სატო (25), მაკანტირი (14)

ეფესი: ჰატსონი (16), არსლანი (11)

**პარტიზანი 82:73 პანათინაიკოსი**

პარტიზანი: პალაციო (24), კეემანი (16)

პანათინაიკოსი: იასიკევიჩუსი (20), ბატისტე (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 6 | 4 | 2 | +38 | 10 |
| პარტიზანი | 6 | 4 | 2 | +10 | 10 |
| პანათინაიკოსი | 6 | 3 | 3 | -16 | 9 |
| ეფესი | 6 | 1 | 5 | -32 | 7 |

### E ჯგუფი

**ფენერბაჰჩე 75:59 ტაუ**

ფენერბაჰჩე: სოლომონი (28), უაიტი (11)

ტაუ: სპლიტერი (21), ტელეტოვიჩი (9)

**არისი 83:74 ლიეტუვოს რიტასი**

არისი: მესი (28), ბოისა (21 წუთი, 3 ქულა, 1 მოხსნა)

რიტასი: ბაირამოვიჩი (14), ვრომენი (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 6 | 5 | 1 | +43 | 11 |
| ფენერბაჰჩე | 6 | 3 | 3 | +5 | 9 |
| რიტასი | 6 | 2 | 4 | -1 | 8 |
| არისი | 6 | 2 | 4 | -47 | 8 |

### F ჯგუფი

**მაკაბი 80:66 ჟალგირისი**

მაკაბი: ჰალპერინი (17), ვუიჩიჩი (11)

ჟალგირისი: ბრაუნი (16), მასიულისი (13)

**ოლიმპიაკოსი 82:73 რეალი**

ოლიმპიაკოსი: ვასილოპულოსი (14)

რეალი: ლოპესი (16), ერვილი (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 6 | 4 | 2 | +20 | 10 |
| ოლიმპიაკოსი | 6 | 4 | 2 | +7 | 10 |
| რეალი | 6 | 3 | 3 | -4 | 9 |
| ჟალგირისი | 6 | 1 | 5 | -23 | 7 |

### G ჯგუფი

**ბარსელონა 64:62 ცსკა**

ბარსელონა: ლაკოვიჩი (14), ილიასოვა (8)

ცსკა: ხრიაპა (13), შიშკაუსკასი (13)

**უნიკახა 79:58 რომა**

უნიკახა: კასტლი (15), ველში (15)

რომა: დე ლა ფუენტე (15), უკიჩი (11)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 6 | 4 | 2 | +62 | 10 |
| ბარსელონა | 6 | 3 | 3 | +10 | 9 |
| უნიკახა | 6 | 3 | 3 | -6 | 9 |
| რომა | 6 | 2 | 4 | -66 | 8 |

# შვედური გეგმა: A დივიზიონი

## ქართველებს ჯგუფში ვიკინგი ჩაუსაფრდა

**შვედეთის ნაკრები ჩვენი მთავარი მეტოქეა B დივიზიონის მომავალ საკვალიფიკაციო ციკლში. სკანდინავიელები ელიტიდან გასულ შემოდგომაზე ჩამოქვეითდნენ და უკან დაბრუნების გარდა არაფრის გაგონება არ სურთ. შვედების ერთ-ერთი ლიდერია ბერძნულ პაოკ-ში მოთამაშე მარტინ რინგსტრიომი, ვისაც ფიბა-ევროპის ვებგვერდის ჟურნალისტებმა ინტერვიუ ჩამოართვეს**



შვედთა ლიდერი მარტინ რინგსტრიომი

— მარტინ, თავდაპირველად ის გვითხარი, როგორ მოხვდი ბერძნულ კლუბში და რამდენად დიდ გამოცდილებას იღებ პაოკ-ში თამაშით?

— კოსტას ფლევარაკისი შვედეთის ნაკრებიდან კარგად მიცნობს. როცა ის პაოკ-ის მწვრთნელად დაინიშნა, მოისურვა, რომ მე საბერძნეთში, მის ახალ გუნდში გადავსულიყავი. ფლევარაკისი მომავალ ციკლშიც უთავკაცებს ჩვენს ნაკრებს და ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ მე ჩემი მშობლიური გუნდი „ასაპი" დავტოვე, სწორედ ეს იყო. პაოკ-ში შვედეთის ნაკრების მწვრთნელის ხელქვეით ვთამაშობ და ეს ჩვენთვისაც კარგია და ეროვნული გუნდის ინტერესებშიც შედის. თავის მხრივ, პაოკ-ი უდიდესი სკოლაა ჩემთვის. აქ საშუალება მაქვს, ვითამაშო არა მარტო ბერძნულ, არა მარტო ევროპის წამყვანი კლუბების წინააღმდეგ. აქ არ მაქვს მოდუნების უფლება, გამუდმებით მობილიზებული ვარ და ეს სათამაშო კლასის ამაღლებაში მეხმარება.

— გასულ ციკლში შვედეთის ნაკრებს ხელი მოეცარა. ელიტიდან B დივიზიონში ჩამოქვეითდით, თუმცა იყო პერიოდები, როცა თქვენი გუნდი კარგად თამაშობდა. როგორ შეაფასებ განვლილ სანაკრებო მატჩებს?

— გასული ციკლით მართლაც იმედგაცრუებულები ვართ. ჩემი აზრით, არ ვიმსახურებდით გამოვარდნას, მაგრამ არ გაგვიმართლა. მახსოვს ჩვენი ნაკრების არაერთი კარგი თამაში, რომელთაგან ლიტვის ნაკრების სტუმრად დამარცხებას გამოვარჩევ. ეს იყო უდიდესი მიღწევა, თუმცა მერე რაღაც დაგვემართა და გადამწყვეტი მატჩები დავთმეთ. ვფიქრობ, გასულ ციკლში დაშვებულ შეცდომებს საფუძვლიანად გავაანალიზებთ და პირველივე ცდაზე დავბრუნდებით A დივიზიონში.

— B დივიზიონის C ჯგუფში შვედეთის ნაკრები მოხვდა სლოვაკეთთან, საქართველოსთან, ირლანდიასთან და ლუქსემბურგთან ერთად. შეგიძლია, დაადასტურო, რომ შენ კვლავ ითამაშებ ეროვნულ გუნდში და რას ფიქრობ ჯგუფიდან გასვლაზე?

— საკუთარი ქვეყნის წარმოდგენა საერთაშორისო ასპარეზზე დიდი პატივია ყველასთვის და არც მე ვარ გამონაკლისი. დიდი მონდომებით დავეხმარები შვედეთის ნაკრებს, რათა ამ მართლაც ძლიერი ჯგუფიდან გავიდეს. ვფიქრობ, გასულ ციკლთან შედარებით შვედეთის ნაკრები უკეთეს კალათბურთს ითამაშებს.

— შვედეთის კალათბურთის ფედერაცია მომავალს საკმაოდ ოპტიმისტურად უყურებს და ამის მიზეზი ახალგაზრდული და სხვა ასაკობრივი ნაკრებებია. როგორ გგონია, შვედეთი დაიმკვიდრებს ადგილს ევროპის წამყვან საკალათბურთო ქვეყნებს შორის?

— მიუხედავად არცთუ მცირე ტრადიციებისა, შვედეთი მაინც რჩება მცირე საკალათბურთო ქვეყნად. თუმცა სპორტის ამ სახეობას ჩვენთან ძალიან გონივრულად უძღვებიან და მჯერა, რომ შვედეთი ძლიერთა დამარცხებას მალე მოახერხებს. ჩვენს ქვეყანას დიდი გამოცდილება აქვს სპორტის სათამაშო სახეობებში და იმის გათვალისწინებით, რომ არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა გვეზრდება, შვედეთს კარგი მომავალი აქვს. არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში ევროპის წამყვან ნაკრებებს გავუტოლდეთ.

## NBA

რეგულარული ჩემპიონატი

20 მარტი

**დალასი 90:94 ბოსტონი**

დალასი: ჰოვარდი (24), ნოვიცკი (22)

ბოსტონი: პირსი (22), ალენი (21), გარნეტი (20)

**იუტა 95:106 ლეიკერსი**

იუტა: უილიამსი (26), ბუზერი (23)

ლეიკერსი: ბრაიანტი (27), ოდომი (21)

**ჩიკაგო 80:102 სან ანტონიო**

ჩიკაგო: დენგი (18), გუდენი (16)

სან ანტონიო: პარკერი (23), დანკანი (22)

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| *ბოსტონი* | 55 | 13 | 80,9 |
| *დეტროიტი* | 49 | 19 | 72,1 |
| *ორლანდო* | 45 | 25 | 64,3 |
| კლივლენდი | 39 | 30 | 56,5 |
| ტორონტო | 35 | 33 | 51,5 |
| ვაშინგტონი | 34 | 33 | 50,7 |
| ფილადელფია | 34 | 34 | 50,0 |
| ატლანტა | 29 | 39 | 42,6 |
| ნიუ ჯერსი | 29 | 39 | 42,6 |
| ჩიკაგო | 27 | 41 | 39,7 |
| ინდიანა | 27 | 41 | 39,7 |
| შარლოტი | 24 | 44 | 35,3 |
| მილუოკი | 23 | 44 | 34,3 |
| ნიუ იორკი | 19 | 48 | 28,4 |
| მაიამი | 12 | 55 | 17,9 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| *ლეიკერსი* | 47 | 21 | 69,1 |
| *ნიუ ორლეანი* | 46 | 21 | 68,7 |
| ჰიუსტონი | 46 | 22 | 67,6 |
| *იუტა* | 45 | 25 | 64,3 |
| ფინიქსი | 46 | 22 | 67,6 |
| სან ანტონიო | 45 | 23 | 62,2 |
| დალასი | 44 | 25 | 63,8 |
| გოლდენ სტეიტი | 42 | 25 | 62,7 |
| დენვერი | 40 | 28 | 58,8 |
| პორტლენდი | 35 | 33 | 51,5 |
| საკრამენტო | 31 | 36 | 46,3 |
| კლიპერსი | 21 | 46 | 31,3 |
| მინესოტა | 17 | 50 | 25,4 |
| მემფისი | 16 | 51 | 23,9 |
| სიეტლი | 16 | 52 | 23,5 |



# ვინც ცენზს გაარღვევს, საზღვარგარეთაც ის წავა

ოლიმპიური ჩემპიონის ნინო სალუქვაძის ტირმა ორი დღის წინ საქართველოს ჩემპიონატს უმასპინძლა პნევმატური იარაღით სროლაში. საქართველოს საუკეთესო მსროლელები უფროსთა და ახალგაზრდათა შორის შეეჯიბრნენ ერთმანეთს. შინაურ ჩემპიონატში წარმატებით გამოსვლა ორმაგად მნიშვნელოვანია — საერთაშორისო ტურნირებში ის მსროლელები მიიღებენ მონაწილეობას, რომლებიც შინ დააგროვებენ ქულათა გარკვეულ რაოდენობას და სპეციალურად დაწესებულ ცენზს გადალახავენ. ეს წესი ნინო სალუქვაძემ იმ მიზნით დანერგა, რომ საზღვარგარეთ მხოლოდ კარგი შედეგების მქონე მსროლელები გაემგზავრონ და იქ სათანადო დონეზე გამოვიდნენ. ნინო სალუქვაძემ „სარბიელთან“ საუბარში ჩემპიონატის შედეგები შეაფასა, ახლახან დამთავრებულ ევროპის პირველობასაც შეეხო და სამომავლო გეგმებსაც

— საერთო ჯამში ჩემპიონატის შედეგებით კმაყოფილი ვარ. აქამდე ჩატარებული შინაური პირველობებისგან განსხვავებით, მსროლელთა გარკვეულმა ნაწილმა დაწესებული ცენზი გადალახა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. ჯუმბერ ოქრუაშვილს, მეგი ქადაგიძესა და თეონა იაშვილს საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის საშუალება მიეცემათ. ეს ახალგაზრდები აპრილში გერმანიაში წავლენ.

— საპრიზო სამეულებში ძირითადად თბილისელი მსროლელები შევიდნენ. სხვა ქალაქების წარმომადგენლები რამდენად ინტენსიურად გამოდიან და საერთოდ როგორი სიტუაციაა რეგიონებში?

— საქართველოს ჩემპიონატში თბილისის გარდა რეგიონების წარმომადგენლებიც გამოდიოდნენ. თუმცა იმის საშუალება არ არის, რომ მათ ნორმალურ პირობებში ივარჯიშონ. რეგიონებში ტირის და ინვენტარის პრობლემაა. ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ მათ დახმარებას. გვინდა, რომ ბათუმში ავაღორძინოთ ეს სპორტი და ტირი გავხსნათ.

— შვეიცარიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილი აიღეთ. როგორ შეაფასებთ თქვენი და გუნდის დანარჩენი წევრების გამოსვლას?

— ვფიქრობ, რომ კარგად გამოვედი. იგივე შემიძლია ვთქვა ლევან ქადაგიძეზე. ეს სპორტსმენი ნელნელა უმატებს. რაც შეეხება ნინო უჩაძეს, მან ამ ეტაპზე თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი აჩვენა. გუნდურ პირველობაში მონაწილეობა იმის გამო ვერ მივიღეთ, რომ სამი მსროლელი იყო საჭირო. მესამე წევრი კი მხოლოდ ერთი მიზეზით არ გვყავდა წაყვანილი. იმ დროს საქართველოს პირველობაზე დაწესებული ცენზი მეტ მსროლელს არ ჰქონდა გადალახული.

— უახლოეს მომავალში რომელ ტურნირებზე გამოხვალთ და იქ ვინ გაემგზავრება?

— პატარა მსროლელებზე უკვე გითხარით. აპრილში ჩინეთის მსოფლიოს თასზე მე წავალ. მაისში უკვე მიუნხენის და მილანის სალიცენზიო ტურნირები მოდის, რომელიც პეკინის ლიცენზიის მოპოვების ბოლო შანსიცაა. ვნახოთ, იქ როგორ მოვახერხებთ გამგზავრებას. შინაური პირველობებიდან კი მაისის დასაწყისში თბილისის ღია ჩემპიონატი გველის.

**ლექსო მაისურაძე**

**საქართველოს ჩემპიონატი პნევმატური იარაღით სროლაში**

| ახალგაზრდები | უფროსები |
|---|---|
| **ვაჟები** | **კაცები** |
| 1 ჯუმბერ ოქრუაშვილი | 1 ლევან ქადაგიძე |
| 2 გიორგი ბერიაშვილი | 2 გიორგი დვალიძე |
| 3 ბექა გოგინაშვილი | 3 დავით აზვლედიანი |
| **გოგონები** | **ქალები** |
| 1 მეგი ქადაგიძე | 1 ნინო სალუქვაძე |
| 2 თეონა იაშვილი | 2 ნინო უჩაძე |
| 3 ნათია ფანჩულიძე | 3 თამილა ასათიანი |

**სპორტული იარაღით 50 მეტრიდან სროლაში**

**კაცები**

1 ლევან ქადაგიძე
2 დავით სალუქვაძე
3 თემურ მეზურიშვილი



# ნადალი თავს იგიჟიანებს

**კაცები**
**ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი**
**საპრიზო 3 589 000 $**

**მეოთხედფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) 7:6 6:2; **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ჯეიმს ბლეიკი (9, აშშ) 7:5 3:6 6:3

**ქალები**
**ინდიან უელსი. აშშ. ჰარდი**
**საპრიზო 2 100 000 $**

**მეოთხედფინალი**

**ანა ივანოვიჩი** (1, სერბეთი) — ვერა ზვონარიოვა (12, რუსეთი) 6:1 6:4; **კეისი დელაკუა** (ავსტრალია) — ტამირა პაშეკი (32, ავსტრია) 6:1 4:0 (უარი); **ელენა იანკოვიჩი** (3, სერბეთი) — ლინდსი დევენპორტი (24, აშშ) 6:2 (უარი)

**რაფაელ ნადალმა** გუშინ კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ტიტულის დათმობას არ აპირებს და მიუხედავად იმისა, რომ ჰარდი მის საყვარელ საფარად არასდროს ითვლებოდა, აქაც შეუძლია ტოპმეჩოგნეებთან ტოლ-სწორად თამაში. ინდიან უელსის მოქმედ ჩემპიონს არცთუ იოლი ბადე შეხვდა, მაგრამ რაფა ჯერჯერობით ყველაფერს წარმატებითართმევს თავს — წლის დასაწყისში ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში დამარცხებისთვის ესპანელმა ჟოვილფრედ ცონგაზე იძია შური, გუშინ გამთენიისას კი პირინეელი არც ტრიბუნების მხარდაჭერით ფრთაშესხმულ ჯეიმს ბლეიკს შეუშინდა და ამერიკელი კარიერაში პირველად დაამარცხა.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ესპანელი საკუთარი თამაშის გადაწყობასა და უფრო აგრესიულად ჩოგნაობას ცდილობს. რაფა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მხოლოდ უკანა ხაზზე დგომითა და პასიური გარჯით ჰარდზე სერიოზული წარმატების მიღწევა შეუძლებელია და ამიტომაც აქტიურობს ჩვეულზე მეტად. რა თქმა უნდა, ესპანელს იდეალამდე ჯერ კიდევ დიდი გზა აქვს გასავლელი, მაგრამ საკუთარი თამაშის გაბასრება მას მაინც წარმატებით გამოსდის და შედეგიც სახეზეა — ორი თვის წინ ცონგასთან პირწმინდად დამარცხდა, ორიოდ დღის წინ კი წვალებით, მაგრამ მაინც მოიგო. ნადალს აქამდე არც ბლეიკი დაემარცხებინა და მასთან სამივე შევედრა წაეგო, მაგრამ პირინეელის აქტიურმა ჩოგბურთმა ამერიკელთანაც გაჭრა.

თვითონ თამაში კი საკმაოდ დაძაბული გამოდგა და ამიტომაც ორსაათნახევარი გაიწელა — საბოლოოდ, გადამწყვეტი ისევ და ისევ ნადალის ფანტასტიკური ფიზიკური ფორმა და ყველა ბურთისთვის ბოლომდე ბრძოლის უნარი გამოდგა, რის ხარჯზე რაფამ ჯიუტი ამერიკელი მაინც დააჩოქა.

„ცონგასა და ბლეიკის მაგვარი ჩოგბურთელების დამარცხება ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ეს მიუთითებს, რომ სწორ გზას ვადგავარ და ნელნელა ამ საფარსაც ვეჩვევი“ — კმაყოფილი იყო ნამატჩევს ნადალი.

თუმც ესპანელს ყველაზე დიდი გამოცდა წინ ელის ნოვაკ ჯოკოვიჩის სახით. ჯოკოვიჩი თავის მხრივ შვეიცარიელ სტანისლას ვავრინკას ორ სეტში გაუმკლავდა. ისე, ანგარიშის მიუხედავად, სერბმა მაგრად იჯახირა და ბლომად შეცდომებიც დაუშვა, მაგრამ კლასმა მაინც თავისი ქნა და ნოვაკი წლეულს თავის მეორე ნახევარფინალს ითამაშებს.

ჯოკოვიჩ-ნადალის მომავალი ჯახი შარშანდელი ფინალის გამეორება იქნება — ერთი წლის წინ ეს ტურნირის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდული ფინალი იყო და მაშინ ესპანელმა იყოჩაღა. თუმც მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა და· თუ შარშან სერბი მხოლოდ პერსპექტიული მეჩოგნე იყო, დამდეგ ნახევარფინალს ის ფავორიტის რანგში ხვდება.

ქალთა გამარჯვებულის ბედი კი რუსულ-სერბულ დაპირისპირებაში გაირკვევა — ოღონდ ჯერ ფინალისტების ვინაობა უნდა გამოვლინდეს, რადგან ნახევარფინალებში რუსულ და სერბულ დერბის ვნახავთ — მარია შარაპოვა სვეტლანა კუზნეცოვას დაეტაკება, ანა ივანოვიჩი კი — ელენა იანკოვიჩს.

რუსებმა ნახევარფინალების საგზურები ოთხშაბათს დილას გაინაღდეს, გუშინ კი იგივე სერბებმა გააკეთეს. ანა ივანოვიჩი ძალიან დამაჯერებლად გაუმკლავდა ვერა ზვონარიოვას — სერბმა ლამაზმანმა მხოლოდ მეორე სეტის დასაწყისი ჩააგდო, თორემ ისე მეტოქეზე ერთი თავით მაღლა იდგა. კიდევ უფრო იოლად იხეირა იანკოვიჩმა, რომელთან შეხვედრაშიც ვეტერანმა ლინდსი დევენპორტმა ზურგი იტკინა და თამაშის დასრულება ვერ მოახერხა.

**კახა ლომაშვილი**



რაფაელ ნადალი

# კალაშნიკოვა ქვიშიანი ქვეყნის თიხას გაეჩვია

**ევროპის** მცირე კორტებზე მიმოფანტული ქართველი გოგონებიდან ეს კვირა ყველაზე წარმატებული ოქსანა კალაშნიკოვასთვის გამოდგა. მართალია, ის მხოლოდ 10-ათასიან, ანუ არცთუ პრესტიჟულ ტურნირზე· გამოდის, მაგრამ ეგვიპტურ აინ ალსოხნას თიხნარზე ორი წრე გაიარა და სხვა ქართველებისგან განსხვავებით, კვლავ აქვს წინსვლის შანსი.

აინ ალსოხნას პირველ წრეში კალაშნიკოვა თანამემამულე მანანა შაფაქიძეს დაეჯახა და დამაჯერებლად 6:4, 6:1 მოუგო. ოქსანას მეორე წრეშიც იოლი მეტოქე შეხვდა — კვალიფიკაციიდან წამოსული იტალიელი მარია-სოლ ბარბერი, ვისაც საერთოდ არ აქვს რეიტინგი და ჩვენებური ორივე სეტში იდენტური ანგარიშით, 6:2 6:2 გაუსწორდა მას. მესამე წრეში, ანუ მეოთხედფინალში კალაშნიკოვა მსოფლიო რეიტინგში 690-ე ადგილზე მყოფ რუს გალინა ფოკინას ხვდება და არც მისი ძლევა ჩანს შეუძლებელი.

კალაშნიკოვას გარდა ყველა სხვა ქართველმა ჩოგბურთელმა გოგონამ დაასრულა თამაში. ყველაზე ძლიერ ტურნირში გამოდიოდა მაკა ჩახნაშვილი, რომელიც ამერიკულ რედინგში 25-ათასიან ტურნირზე ცდიდა ძალას. მაკას პირველივე წრეში ძლიერი მეტოქე ერგო, ორი წლის წინ პირველი ასეულის მკვიდრი, აწ კი რეიტინგსიაში 160-ე ადგილზე მდგომი სლოვაკი იარმილა გაიდიშოვა. იგი ამ ბრძოლაში ფავორიტად ითვლებოდა, მაგრამ ჩახნაშვილი თავიდანვე დაწინაურდა და 0:4 ჩამორჩენის შემდეგ სლოვაკმა ბრძოლის გაგრძელება იუარა.

მეორე წრეში ჩახნაშვილი უფრო ძლიერ კონკურენტს გადაეყარა. წინა სეზონის 103-ე ჩოგანი, ახლა კი სულაც პირველ ასეულში, 94 საფეხურზე მდგომი ჩეხი პეტრა ცეტკოვსკა რედინგში მეორე ნომრადაა განთესილი და მას არც ქართველის დამარცხება გაუჭირდა. ჩახნაშვილმა ასეულის მკვიდრთან 3:6 1:6 დათმო.

ასევე 25-ათასიან ტურნირზე სანკტ-პეტერბურგში მეორე წრეში დამარცხდა სოფო შაფათავაც. მან პირველი სეტი დიდი ბრძოლის შემდეგ 7:6 კი მოუგო რუს ანა პავლიუჩენკოვას, მაგრამ შემდეგი 4:6 დათმო, მესამეში კი 1:6 დანებდა მეტოქეს.

სხვებზე ნაკლებად გაუმართლა სოფო ქვაცაბაიას, რომელმაც საბერძნეთში, პორტო რაფტის 10-ათასიანი ტურნირი პირველივე წრეში სლოვაკ მონიკა კოჩანოვსკასთან (771) 0:6 4:6 მარცხით დაასრულა.

**კოტე ყორშია**



# კოკაის კაი

## ქართველი მონღოლებს კვალში ჩაუდგა

**ისევ** მოიგო კოკაიდ წოდებულმა ლევან ცაგურიამ. ოსაკას ბაშო დასასრულს უახლოვდება, ქართველი სუმოტორი კი მაგრამ დგას და ბოლო შეტაკებაში ტაკამისაკარისთან შეხვედრაშიც დაამტკიცა, რომ გადასარევ ფორმაშია. მან ორივე ხელის მკერდში კვრით ანუ ცუპარებით წრის გარეთ გააგდო მეტოქე და 13 შეტაკებაში მე-10 გამარჯვება მოიპოვა.

ამ გამარჯვებით „შავმა ზღვამ" მარტის ბაშოს მოგების თეორიული შანსი შეინარჩუნა, ვინაიდან ლეგენდარულმა ასასიორუმ კოტომიცუკისთან წააგო და 13 შეხვედრაში ორი მარცხიც უმძიმებს ზურგს. მონღოლ გოლიათს აქამდე კოტომიცუკისთან 28-ჯერ ზედიზედ ჰქონდა მოგებული, მაგრამ ამჯერად დაუცდა ფეხი.

კიდევ ერთმა დიდმა მონღოლმა, მეორეადგილოსანმა ხაკუხომ მე-11 გამარჯვება რის ვაი-ვაგლახით გამოადნო 35 წლის 170 კილოგრამიან ოზეკი კაოსთან. ხაკუხო და ასასიორუ ამ ბაშოზე ლიდერობას იყოფენ, ხოლო კოკაი მათ კვალში ჩაუდგა და ეს უკვე დიდ წარმატებად ჩაითვლება.

შაბათს კოკაი აღმოსავლეთის მე-13 მაეგაშირა ხომასეს შეერკინება. ასასიორუ კაიოს ხვდება, ხოლო ხაკუხო — კოტომიცუკის.

ტოჩინოშინად წოდებულმა ლევან გორგაძემ კი კატიკოსი (დადებითი ბალანსი) მოიპოვა. მან ძალისმიერ ორთაბრძოლაში მოუგო მასაცუკასას. მომავალ ჯახს ის 167-კილოგრამიან საგაცუკასასთან გამართავს.

**ზურაბ მიგრიაული**



# გეორ და გია პეკინს ხედავენ

**გუშინ** საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტში პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ახვლედიანმა პლაჟის ფრენბურთელთა ნაკრების საოლიმპიადო ლიცენზიებთან დაკავშირებულ სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

კაცთა, ასევე ქალთა გუნდებს თითქმის ჯიბეში აქვთ პეკინის ოლიმპიადის საგზურები. ახლახან დამთავრებულ „ბანგო დე ბრაზილიის" სუპერტურნირში ორივე წყვილმა მე-5 ადგილი დაიკავა. ნამდვილად რიგიანი შედეგია სეზონის დასაწყისისთვის...

ლევან ახვლედიანი: „ჩვენ ძალიან გვეიმედება ორივე ნაკრების. ერთი ხელის გაწვდენაზე ვართ ოლიმპიურ ლიცენზიებთან. ეს კი უპრეცედენტო შემთხვევა იქნება, ვინაიდან საქართველოს ნაკრები სათამაშო სახეობებში არასდროს გასულა ოლიმპიადაზე. ამჟამად საქართველოს კაცთა ნაკრები ოლიმპიურ რეიტინგში მე-14 ადგილზეა, ქალები კი 26-ე პოზიციას იკავებენ. აპრილის ბოლოდან ყოველ კვირას გაიმართება სალიცენზიო ტურნირები და, ვფიქრობ, საგზურების მოპოვების ასე 90-პროცენტიანი შანსი გვაქვს. უახლოესი ტურნირი 25 მარტს ავსტრალიის ქალაქ ადელაიდაში გაიმართება. ამ შეჯიბრებაში კაცები ძირითად ბადეში მოხვდნენ, ქალებს კი საკვალიფიკაციოს გავლა მოუწევთ.

წინასაოლიმპიადო ვოიაჟებისა და სამზადისის ხარჯებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი ფარავს. ჩვენ კი ვეცდებით, საქართველო არ შევარცხვინოთ. სავსებით შესაძლებელია, რომ ოლიმპიადაზე მედლებსაც გამოვკრათ ხელი! კიდევ ერთხელ გეტყვით, რომ ამ ეტაპზე ჩვენი პროგრამა-მინიმუმი ლიცენზიების მოპოვებაა."

ახლა საქართველოს კაცთა ნაკრები მოქმედ ოლიმპიურ ჩემპიონებთან — რიკარდოსთან და ემანუელთან ერთად გადის ინტენსიურ მზადებას. მალე გეორ და გია შეიძლება საქართველოშიც ვიხილოთ რამე საჩვენებლ ტურნირზე.

**ზურაბ მიგრიაული**



# საქართველომ ესპანეთი სლოვაკეთით დაიწყო

**გუშინ** საქართველოს ხელბურთელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ესპანეთის ქალაქ ლუკოლში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევის პირველი შეხვედრა ჩაატარა სლოვაკეთის ნაკრების წინააღმდეგ და 21:35 წააგო. ჩვენგან მიხეილ საჯაიამ 12 გოლი გაიტანა. შეგახსენებთ, რომ ჯგუფში საქართველოსა და სლოვაკეთთან ერთად მასპინძელი ესპანეთი და იტალიაცაა. ტრამვის გამო ჩვენს ბიჭებს ვერ ეხმარება ირლანდიური „სტიარნანის" და ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი რატი მსხვილიძე.



# რუსეთამდე

**29 მარტს** პრაღის „ტატრა სმიჩოვის" მოედანზე ჩვენი მორაგბეები უპირობო აუტსაიდერ ჩეხეთის ნაკრებს რომ მოუგებენ, ვინძლო არავის ეპარება ეჭვი. იმ თამაშის მერე კი ქართველებს და რუსეთის ნაკრებს ერთა თასის ჯგუფში თანაბარი ქულები დაგვიგროვდება და ერთა თასის მფლობელის ვინაობა კრასნოიარსკში გაირკვევა, როცა შეჯიბრის ბოლო ტურში კლოდ სორელის რუსეთს ვესტუმრებით.

იქამდე კი, ჩეხეთია. კი ვთქვით, ჩეხებს უეჭველად მოვუგებთ-თქო, მაგრამ თამაში თამაშია და, მომზადება სჭირდება.

ჩვენი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა საამმატჩო შემადგენლობა ჩამოწერა, რომელშიც 13 მორაგბე ფრანგულ კლუბებში თამაშობს, ერთი „უკრაინელია", დანარჩენები კი საქართელოში თამაშობენ.

**შერკინება**: *კოდერძი შველიძე (კლერმონი), შოთა მელიქიძე (კარრი), დავით დადუნაშვილი (მასი), ბესო უდესიანი (ვილფრანში), გიორგი ჩხაიძე (მასი), ლევან დათუნაშვილი (მონლუსონი), გიორგი ნემსაძე (დომონი), დავით ჩიჩუა (აჟენი), სიმონ მაისურაძე (კლერმონი), დიმიტრი ბასილაია (კლერმონი), შალვა სუთიაშვილი (ბობინი), გიორგი მჭედლიშვილი (ლელო);*

**უკანა ხაზი**: *სანდრო ნიჟარაძე (ყოჩები), ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ლაშა მალაღურაძე (კრედო), მერაბ კვირიკაშვილი (პო), რევაზ გიგაური (მონლუსონი), ალექსანდრე თოდუა (ლელო), ირაკლი ჩხიკვაძე (აია), გიორგი კაჭარავა (ყოჩები), დავით კაჭარავა (ყოჩები), გიორგი შკინინი (ხულიგანა).*

გამოძახებულთაგან ოთხი ნაკრების დებიუტანტია — შოთა მელიქიძე, დავით ჩიჩუა, გიორგი მჭედლიშვილი და სანდრო ნიჟარაძე.

ცოტა წავიტრაბახებთ და მოვახსენებთ, რომ სანდრო ნიჟარაძე ქართული პლაჟის რაგბის ისტორიაში პირველი ლელოს დამდებია და ის ლელო „სარბიელის" სახელით დადო.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ ჩამოთვლილ 22-კაციან რაზმში შესაძლოა, ცვლილებები მოხდეს — ევებ, რომელიმე ფრანგულმა კლუბებმა არ გამოუშვას რომელიმე მორაგბე ან, ღმერთმა ნუ ქნას, ვინმე დაშავდეს.

მაგრამ ასე თუ ისე, ჩვენ იმდენად ვართ დარწმუნებულები ჩეხეთთან გამარჯვებაში, რომ ახლავე შეგვიძლია ვთქვათ: ჩეხებს რომ მოვუგებთ, ერთა თასის დასაუფლებლად რუსეთის ძლევაღა გვრჩება!

**გიორგი დარჯანია**



## ამბერის ტურნირი

ნიცა. საფრანგეთი. 14-28 მარტი

V ტური

| | | |
|---|---|---|
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5, 0:1 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 1:0, 0,5:0,5 | შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) |
| ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) | 1:0, 0:1 | ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 1:0, 0,5:0,5 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 0,5:0,5, 0:1 | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) | 0,5:0,5, 0:1 | სერგეი კარიაკინი (უკრაინა) |

*პირველად მოცემულია დაფაზე დაუხედავი პარტიების შედეგები*



## რეგულარული ჩემპიონატი

20 მარტი

**ოტავა 3:2 სენტ ლუისი**
*2:2 1:0 0:0*
1:0 ვერმეტი (3), 1:1 მაიერსი (10), 1:2 ვოივოდა (13), 2:2 შუბერტი (17), 3:2 სპეცა (28)

**პიტსბურგი 4:2 ტამპა**
*1:0 1:1 2:1*
1:0 რუუტუ (15), 1:1 ლეკავალიე (25), 2:1 მალკინი (31), 3:1 სტაალი (41), 4:1 სიკორა (41), 4:2 კუბა (42)

**ბოსტონი 2:4 მონრეალი**
*0:0 1:2 1:2*
0:1 კოვალიოვი (29), 0:2 კოვალიოვი (34), 1:2 სტიუარტი (34), 1:3 რაიდერი (47), 1:4 კოსტიცინი (52), 2:4 ვაიდმენი (57)

**ფლორიდა 1:2 კაროლინა**
*0:1 0:0 1:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*
0:1 ლეტოვსკი (4), 1:1 ვაისი (41)

**კალგარი 2:1 კოლორადო**
*2:0 0:0 0:1*
1:0 ლენგკოუ (9), 2:0 კონროი (15), 2:1 გიტე (46)

**ედმონტონი 1:4 ვანკუვერი**
*0:0 0:2 1:2*
0:1 დ. სედინი (22), 0:2 პეტინგერი (38), 0:3 პაიეტი (45), 1:3 გილბერტი (51), 1:4 ლინდენი (54)

**ნეშვილი 3:6 დეტროიტი**
*1:0 0:3 2:3*
1:0 რადულოვი (17), 1:1 კრონვალი (21), 1:2 ჩელიოსი (25), 1:3 რაფალსკი (28), 2:3 რადულოვი (43), 3:3 ერატი (45), 3:4 ფრანცენი (48), 3:5 დაციუკი (55), 3:6 დაციუკი (60)

**ფინიქსი 5:6 ლოს ანჯელესი**
*1:2 3:3 1:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*
0:1 პრაისინგი (9), 1:1 ლისინი (12), 1:2 პრაისინგი (20), 2:2 იანდლი (27), 2:3 ბრაუნი (29), 2:4 ივანანსი (30), 3:4 რაინპრეხტი (32), 3:5 ჰაროლდი (33), 4:5 დოუნი (38), 5:5 ბალარდი (60)


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვა, ლიანა ბეჟელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge